გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია" ელავს

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№90 (985) 26 - 28 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ქარხნები დაზიანებულ ყურძენსაც იბარებენ!

გვ. 6

რთველი-2014

21 წელი სოხუმის დაცემიდან

დევნილები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალ არჩევნებს ითხოვენ

გვ. 3-4

რამდენად შესაძლებელია სოხუმში ჩაფარებული არჩევნების გაუქმება და გამოიყენებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება დევნილ 170 000-მდე ამომრჩეველს ბერკეტად

„მთელი უბედურება ისაა, რომ შედეგების მიღწევა და კონკრეტული ვადების დათქმა გვინდა, რაც ძალიან რთულია"

„პედაგოგები ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარ სახლებში ბავშვებს ქართულს ასწავლიან. დადგება დრო, როცა მათ საქართველოს მთავრობა გმირებად შერაცხავს!"

პაატა ზაქარეიშვილი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს აფასებს

სტიქია აჭარაში

გვ. 8

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით შავლიაშვილი** „ვერსიას" ექსკლუზიურ ინფორმაციას ანვდის

„გუნდი არ მენდო და შანსი არ მომცა!"

გვ. 5

რა შემთხვევაში წავა ოპოზიციაში და რატომ ნანობს პრეზიდენტად მარგველაშვილის არჩევას გელევან ფოფხაძე

დაუგეგმავი ძარცვა და გზა ტატამიდან კარცერამდე

ჯუდოკის მკვლელობა

როგორ დასახიჩრეს მოჭიდავე კახა პოლიციელებმა

პატიმრები მასობრივ შიმშილობას იწყებენ

m²-ის ახალი პროდუქტების ხაზი „ოპტიმა" და პირველი პროექტი „ოპტიმა ისანი" – ბინები 29 000 დოლარიდან

გვ. 7

„დღეს საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყნაში“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ნიუ იორკში, საერთაშორისო ეკონომიკური ალიანსის (IEA) მიერ ორგანიზებულ გლობალურ საინვესტიციო სიმპოზიუმზე, დამსწრე საზოგადოებას საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი გააცნო. პრემიერის განმარტებით, დღეს საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, განსხვავება კი მხოლოდ დაბალ ტარიფებსა და გადასახადებში, მარეგულირებელი წესების სიმცირესა და ამონაგების დიდ მოცულობაშია. ღარიბაშვილის განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში თვალშისაცემია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა: **„ქვეყანაში ბიზნესისთვის ხელსაყრელი სტრატეგიები, მჭიდრო რეგიონული სავაჭრო ურთიერთობები და საქართველოს მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე კიდევ უფრო გააქტიურებს ეკონომიკურ ზრდას და მოიზიდავს საერთაშორისო ინვესტიციებს“.**

ღარიბაშვილმა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოს მთავრობამ წამოიწყო ინიციატივები, რომელთა მიზანიც რისკების შემცირება და ამონაგების გაზრდაა: **„ფართომასშტაბიან დონეზე საქართველოში უცხოური ინვესტიციების დასაფინანსებლად დაარსდა ახალი საჯარო და კერძო საინვესტიციო ფონდები, რომელთა განკარგულებაშიც მილიარდებია. მათ შორისაა საქართველოს პარტნიორობის ფონდი, რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს ფართომასშტაბიან საინვესტიციო ინიციატივებსა და სოფლის მეურნეობის მენეჯმენტის ფონდებში. მიკროდონეზე კი ახლახან წამოვიწყეთ ახალი ინიციატივა (26 მილიონი დოლარი), რომელსაც ჰქვია „აწარმოე საქართველოში“. მისი მიზანია მცირე წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროექტების მხარდაჭერა“.**

პრემიერმა ბიზნესმენებს მოუწოდა, გამოიყენონ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და ისინი თბილისში, საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმზე – „საქართველო — რეგიონული ცენტრი და კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის“ მოიწვია.

პრემიერი გაერო-ში გამართულ კონფერენციაზეც გამოვიდა სიტყვით. მან მადლობა გადაუხადა ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) გამოჩენილი ნდობისთვის – საქართველოს მთავრობა შემდგომი ორი წლით OGP-ის საკოორდინაციო კომიტეტის წევრი გახდა. ამის შემდეგ, ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობის მიზნებზე ისაუბრა და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა იმ ინოვაციური გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებასა და სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას შეეხება. მისი თქმით, ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ცვლილება ინფორმაციის თავისუფლების კუთხით განხორციელდა: **„ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია სათემო ცენტრები. ეს არის სოფლის განვითარების კრეატიული გზა, რომლის მიზანია რეგიონულ დონეზე მოქალაქეთა გაძლიერება და ერთი ფანჯრის პრინციპით მათთვის სახელმწიფო მომსახურების მიწოდება“.**

ამერიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი ბარაკ ობამასაც შეხვდა. აშშ-ს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის მიწვევით საქართველოს პრემიერ-მინისტრი მეუღლესთან ერთად მიღებაზე იმყოფებოდა, სადაც ამერიკის პირველ პირს გაესაუბრა.

„ვერსიანიუსი“

ფარულ მოსმენებზე გარეკონტროლის უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გადაეცემა

შსს წინააღმდეგია, ე.წ გასაღები შსს-დან გამოვიდეს და გადაეცეს მობილურ ოპერატორებს. ლევან იზორიას ინიციატივით, ის დარჩება შსს-ში, გარე კონტროლის მექანიზმი კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ექნება.

აღნიშნული ინიციატივა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით შექმნილ ჯგუფს წარუდგინა. შეხვედრას საკითხზე მომუშავე ჯგუფთან ერთად უცხოელი ექსპერტები ესწრებიან. ლევან იზორიას განმარტებით: **„უნდა გაძლიერდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საზედამხედველო როლი, ეს გარე კონტროლის მექანიზმი ითვალისწინებს ავტომატურ რეჟიმში ყველა ინფორმაციის გადაცემას ინსპექტორისთვის და შესაბამისად ჩნდება ინსპექტორის მხრიდან უკვე ინფორმაციის გაკონტროლების და ზედამხედველობის შესაძლებლობა“.**

„პირველი“

ოზურგეთის საავადმყოფოში ჩვილების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის, ლადო კეპულაძის განმარტებით, სამინისტრო ჯგუფი ოზურგეთში საკითხის შესასწავლად უკვე გაემგზავრა.

მისივე თქმით, აღნიშნული ჯგუფი ადგილზე კომისიური წესით განიხილავს სამედიცინო დოკუმენტაციას, მედპერსონალს გაესაუბრება და განმარტებებს ჩამოართმევს, ამის შემდეგ კი დოკუმენტაცია ექსპერტებს გადაეცემა, რომლებიც სარეცენზიო დასკვნას გააკეთებენ.

„როცა ამ დასკვნას მივიღებთ და შეჯერდება სამინისტროსა და დამოუკიდებელი რეცენზენტების დასკვნები, სამინისტროს პროფესიული პასუხისმგებლობის საბჭო იმსჯელებს, რა შეცდომა, ხარვეზი, რა დანაშაული აქვს მედპერსონალს ჩადენილი კონკრეტულ შემთხვევაში და პროფესიული თვალსაზრისით, რა ზომა შეიძლება გატარდეს მათ მიმართ“, — განაცხადა კეპულაძემ. მისივე თქმით, საქმეზე ძიება შსს-მაც დაიწყო და თუკი გამოვლინდა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებიც, შესაბამის რეაგირებას სამართალდამცველები მოახდენენ.

დასკვნა დაახლოებით ერთ თვეში იქნება მზად.

„პირველი“

საქართველო არბიტრაჟის მუდმივმოქმედ სასამართლოს უერთდება

საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, მიერთების პროცედურები საქართველოს პარლამენტმა უკვე დაიწყო: **„ივლისში ყველაფერი გადავუგზავნეთ საქართველოს პარლამენტს. იმედი მაქვს, ის ამ საკითხს მალე განიხილავს და დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს. ამ გადაწყვეტილებით კი, საქართველო კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის ვალდებულებას, იმოქმედოს კანონის, მართლმსაჯულებისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“**. საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალური მდივნის ჰიუგო სიბლეზის თქმით, საქართველო აღნიშნული სასამართლოს 117-ე წევრი იქნება.

„პირველი“

განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით 4 პირი დააკავეს

განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით, დაკავებული არიან მარია სტეფანოვა, ანა გარსევანიშვილი, ლევან სოხაშვილი და დემურ დუნდუა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2008 წლის მარტში, ბრალდებულები, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 2 500 000 ლარია.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე და 180-ე მუხლით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. პარალელურად, მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების იდენტიფიცირების მიზნით.

„პირველი“

სარფში არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს. კერძოდ, სგპ „სარფის“ ტერიტორიაზე თურქეთიდან საქართველოს მოქალაქე რ.გ. შემოვიდა, რომლის ხელბარგის დათვალიერებისას, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები, საერთო წონით 131,31 გრ. იპოვეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონლის ღირებულებამ 6359,96 ლარი შეადგინა. მათივე ცნობით, რ.გ. დაჯარიმდა 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 6359,96 ლარის ოდენობით.

„ინტერპრენიუსი“

სასამართლომ ექსპერტი ლევან ჩაჩუა წინასწარ პატიმრობაში დატოვა

მოსამართლე ნინო სანდოძემ დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შესახებ არ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარე წინასწარი პატიმრობის გაუქმების ან შეცვლის მოტივად ლევან ჩაჩუას ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა, ასევე ის, რომ საქმეზე ყველა მოწმე დაკითხულია და თავისუფლებაში ყოფნით ლევან ჩაჩუა ხელს ვერ შეუშლიდა გამოძიებას.

პროკურატურა არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას. ბრალდების მხარის განცხადებით, არსებობს საფუძველი, რომ ლევან ჩაჩუა მოწმეებზე ზემოქმედებას მოახდენს.

ექსპერტ ლევან ჩაჩუას ბრალი სსკ 342-ე მუხლით აქვს წაყენებული, რაც სამსახურეობრივ გულგრილობას გულისხმობს. მისი საქმე ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი.

„პირველი“

დევნილები, უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოთხოვნით, აქციებს იწყებენ?!

რამდენად შესაძლებელია სოხუმში ჩატარებული არჩევნების გაუქმება და გამოიყენებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება დევნილ 170 000-მდე ამომრჩეველს ბერკეტად

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს, სოხუმში დიდი ზეიმი იწყება — საქართველოს დამარცხებისა და ისტორიული „დამოუკიდებლობის“ დღესასწაული, რომელიც კულმინაციას 30 სექტემბერს აღწევს. სწორედ ამ თარიღს მიიჩნევენ სეპარატისტები ყველაზე მნიშვნელოვნად, რადგან ამ დღეს მათი შეიარაღებული ფორმირებები ენგურზე გადავიდა, მთელი ღამე ჰაერში ისროდნენ, ქართველებზე გამარჯვების ნიშნად. მას მერე ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, ჰაერში სროლა კი არ წყდება ამჯერად იმის ნიშნად, რომ აფხაზეთი კვლავ ოკუპირებულია.

წინა ხელისუფლება სარეკლამო ბანერებიდან გვახსენებდა, რომ „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“. დღეს, შთაბეჭდილება რჩება, რომ იგნორის პოლიტიკა, 200 000-ზე მეტი დევნილის მიმართ, უცვლელია. ასე რომ არ იყოს, ხელისუფლება წინამორბედის შეცდომას არ გაიმეორებდა და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილ ხალხს ხმის უფლებას არ წაართმევდა. ფაქტია, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ 170 000-მდე დევნილ ამომრჩეველს ხმის უფლება არ აქვს და შესაბამისად, არც ერთ ლეგიტიმურ ორგანოში არ ჰყავს წარმომადგენელი. უპრეცედენტოა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. კონსტიტუციაც, სადაც ჩანაწერი არჩევნების ჩატარების შესახებ, ამოღებულია. ამგვარად, 23 წელია აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობას ერთი და იგივე ხალხი მართავს, რომელიც თავს უმაღლეს საბჭოს უწოდებს. სწორედ ამ ორგანოს ხელახალი არჩევაა მოძრაობა „დაბრუნების“ მთავარი მოთხოვნაცა და მიზანიც. ორგანიზაცია გააქტიურებას 26 სექტემბრიდან გეგმავს. საღამოს 9 საათზე აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა სიის საჯაროდ წაკითხვის ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი, 27 სექტემბერს, ჭადრაკის სასახლეში კი დიდი თავყრილობა ჩატარდება, აფხაზთა კრების სახელით. ამის შესახებ მოძრაობის თავმჯდომარემ, მალხაზ პატარაიამ გვიამბო, რომელიც იმ იურიდიულ საფუძვლებზეც საუბრობს, რომელზე დაყრდნობითაც აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები ლეგიტიმურიცაა და პოლიტიკურად თუ მორალურად გამართლებულიც.

მალხაზ პატარაია, მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე, იურისტი: „აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების არსებობას მხარს ყოველთვის ვუჭერდით. პრეტენზია იმ მოქმედი შემადგენლობის მიმართ გვაქვს, რომელიც არაა და არც შეიძლება იყოს ლეგიტიმური. ჩვენი მიზანია, უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები ჩატარდეს და ჩვენც გამოვიყენოთ დიდი ხნის წინ ხელოვნურად წართმეული საარჩევნო უფლება. ჩვენ, დევნილი მოსახლეობა, გარკვეულწილად, მარგინალებიც კი ვართ — არ გვყავს პირდაპირი წარმომადგენელი აფხაზეთის ხელისუფლებაში, ასევე — მაჟორიტარები ადგილობრივ ხელისუფლებაში. დევნილების პოლიტიკურ პროცესში ჩართვა კი, ავტომატურად, აფხაზეთის თემას გააააქტიურებს. ამისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებაა საჭირო. საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია, აფხაზეთის ე.წ. კონსტიტუციაში კი არჩევნების მუხლი აღარ არსებობს. მმართველი ორგანოს 23-წლიანი გადაურჩევლობა ყოველგვარ გონივრულ ვადებს სცილდება. ის მთავრობა დიდი ხანია დელეგიტიმურია, ადგილობრივი მოსახლეობა კი ხელისუფლების არჩევაში არ მონაწილეობს. ამ ორგანოში, 65-დან ისედაც სულ 18 კაცია დარჩენილი, მათი ყველაზე ახალგაზრდა ამომრჩეველი კი, 23 წლის შემდეგ, მინიმუმ 41 წლისაა. ნორმალურად არც ეს მიგვაჩნია. იქნებ, ვინმემ აგვიხსნას, სამართლებრივად, რას ნიშნავს და რა ცნებაა „დეპუტატი სიკვდილამდე“ — ესენი ჩვენი „სამისდღემჩიო დეპუტატები“ არიან? ფაქტია, საბჭოს შემადგენლობა უნდა განახლდეს, რადგან იგი აფხაზეთის მოსახლეობის ერთადერთი წარმომადგენლობითი ორგანოა“. როცა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ოკუპანტი ქვეყნის ძალები არჩევნებს არჩევნებზე ატარებენ და ერთ მარიონეტულ ხელისუფალს მეორე მარიონეტით ცვლიან, რატომაც არა — რა გვიშლის ხელს ნამდვილი, ლეგიტიმური არჩევნები ჩავატაროთ, საქართველოში მცხოვრებ დევნილებს ხმის უფლება მივცეთ და წარმომადგენლობითი ორგანო ავარჩევინოთ? თანაც იმ ფონზე, როცა რაოდენობრივად, თუნდაც ბოლო, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს, აფხაზეთში რეგისტრირებული ამომრჩეველი 130 000-ს ძლივს აღწევდა?! არის თუ არა ჩვენი სახელმწიფოს ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტი, დევნილთა რაოდენობის სახით და როგორ შეგვიძლია მისი გამოყენება? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრ **პაატა ზაქარეიშვილს** ვთხოვეთ, რომელიც ამ თემაზე სრულიად სხვა კონტექსტში საუბრობს: **„ეს არის პოლიტიკური და არა სამართლებრივი ბერკეტი. რამდენი ადამიანიც უნდა ცხოვრობდეს აფხაზეთში, იქ ჩატარებული არჩევნები და იქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ნებისმიერ შემთხვევაში, უკანონოა. ჩვენი რიცხვობრივი უპირატესობა უკვე გამოყენებულია — მსოფლიოში არავინ აღიარებს არცერთ პოლიტიკურ აქტს, რომელსაც აფხაზეთში იღებენ, რადგან მათ საქართველო არ აღიარებს. ამაზე მეტი რა გვინდა?“** პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე** მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები ადგილზე უნდა ჩატარდეს, თუმცა „ადგილზე“ მისასვლელი გზები მისთვისაც უცნობია: **„ზოგადად, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები, ადგილზე უნდა ჩატარდეს, ოღონდ, მას შემდეგ, რაც დევნილები დაბრუნდებიან. ალბათ, ეს ერთადერთი მისაღები ფორმატია. მზა პასუხი არ მაქვს, დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნები რომ ჩავატაროთ, რა შედეგს მოგვცემს. ალბათ, ეს კონცეფცია შერიგების სამინისტროს ეგიდით უნდა მომზადდეს და აფხაზეთის მთავრობის აზრიც უნდა გავითვალისწინოთ“.**

იმ ფაქტს, რომ 23-წლიანი „დაძველების“ უმაღლეს საბჭოს ლეგიტიმური არჩევნების ჩატარება არ ენდომება, დიდი მკითხაობა არ სჭირდება. მსოფლიოში ცოტას თუ აქვს საშუალება, უვადო დეპუტატობით დაიკვეხნოს. თუმცა რატომ ვერ უნდა ხედავდეს მოქმედი ხელისუფლება ადგილობრივი არჩევნების აქ და არა აფხაზეთში ჩატარების რესურსს, გაუგებარია. ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე **ზურაბ ხარატიშვილი** მოძრაობა „დაბრუნების“ ინიციატივას უერთდება. მეტიც, იდეას რეალისტურად, დევნილი ამომრჩევლის რაოდენობას კი — ქვეყნისთვის კოზირად მიიჩნევს: **„ჩვენ და კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია 27 სექტემბერს მოძრაობა „დაბრუნების“ კამპანიას შევუერთდებით. აქციის მიზანი აფხაზეთში არჩევნების ჩატარებაა, რაც სავსებით რეალურია, რადგან საქართველოში 160 000-ზე მეტი დევნილი ცხოვრობს აფხაზეთიდან, თავად აფხაზეთში, დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებზე სიაში კი სულ 132 000 ამომრჩეველი იყო. თავის დროზე, ნაციონალებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ეს ბერკეტი არ გამოიყენეს. დღევანდელი ხელისუფლება კი, ამ საკითხს, ფაქტობრივად, არ ეხება. ელექტორატი საქართველოში უფრო მეტია და ავტომატურად ჩნდება აზრი — საერთოდ რატომაა ეს ელექტორატი ორად გახლეჩილი?! ვფიქრობ, ეს საკმაოდ ეფექტური კოზირია სახელმწიფოს ხელში. დღეს აფხაზი ამომრჩეველი საკმაოდ ხანდაზმულია. რაღაც დროის მერე, როცა ეს ხალხი ბუნებრივი სიბერით გარდაიცვლება, სად მივდივართ, იურიდიულად?! ამ კითხვას უპასუხოს ხელისუფლებამ, ან უბრალოდ, აღიაროს, რომ არჩევნების ჩატარება არ უნდა!“**

მოძრაობა „დაბრუნების“ ლიდერი კი ხელისუფლებას საკუთარი სამთავრობო პროგრამის შესახებ ახსენებს და იმ ორ მოთხოვნასაც ახმოვანებს, რასაც 27 სექტემბერს აფხაზთა კრება „ოცნებას“ წაუყენებს! **მალხაზ პატარაია: „დღევანდელ ხელისუფლებას არჩევნების ჩატარების პოლიტიკური ნება არ აქვს, თავად უმაღლესი საბჭოს წევრები კი ამ იდეას სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეწინააღმდეგებიან. გასაგებია, ამას საარჩევნო კომისიის შექმნა, ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა და გარკვეული იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება სჭირდება, მაგრამ თავად საქართველოს ხელისუფლებას აქვს სამთავრობო პროგრამა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად წერია, რომ დევნილებმა საკუთარი წარმომადგენლობა თავად უნდა აირჩიონ. თუმცა ამ პუნქტის შესასრულებლად არავინ არაფერს აკეთებს. დღეს ხელისუფლების არგუმენტები აფხაზეთის დეპუტატების განცხადებების იდენტურია და უფრო ვრწმუნდები, რომ ამ ხელისუფლებაში მყოფი კაპიტულანტები პირდაპირ კავშირში არიან აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებასთან და აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხზე მუშაობენ! დევნილ მოსახლეობას არჩევანის უფლება არ უნდა წაერთვას. ხოლო, თუ უფრო შორს წავალთ, ერთობლივი არჩევნების ჩატარებაც შეიძლება, ხმის ელექტრონულად მიცემის საშუალებით, ან წერილობითი ფორმით, ანონიმურობის დაცვის გარანტიით. გარდა ამისა, პარტიას აფხაზეთის ბიურო არ გააჩნია, ხოლო, როგორც კი აფხაზეთში საარჩევნო პროცესი დაიწყება, ყველა გააქტიურდება და პარტიებიც დევნილ ელექტორატზე იმუშავებენ. ასე პოლიტიკური პროცესი გამოცოცხლდება! მთავრობის დარწმუნების ბერკეტად დიალოგებს, დისკუსიებს, შეკრებებსა და პეტიციებს გამოვიყენებთ, მაგრამ, თუ „ოცნება“ ყურს არ გვათხოვებს, საპროტესტო აქციებსაც დავიწყებთ!“**

კომერციული მოსყიდვის ფაქტზე რვა პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტის ეროვნული კატეგორიის არბიტრები – 1977 წელს დაბადებული ოთარ ხ, 1979 წელს დაბადებული ირაკლი უ, 1972 წელს დაბადებული მამუკა უ, 1975 წელს დაბადებული თეიმურაზ ხ, ასევე, პირველი კატეგორიის არბიტრები – 1975 წელს დაბადებული ალექსანდრე გ, 1984 წელს დაბადებული ზვიად ა, ეროვნული კატეგორიის ასისტენტი – 1974 წელს დაბადებული ონისე მ. და ფიფა-ს არბიტრი, 1986 წელს დაბადებული თორნიკე გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული პირები 2500-დან 5000 აშშ დოლარამდე თანხის სანაცვლოდ, წინასწარ ურიგდებოდნენ მოქალაქეებს, მათი მსაჯობით ჩასატარებელ თამაშებში ფეხბურთელთა დასაჯარიმებელი ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობაზე, რასაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. ამ სქემით ბრალდებულები აღნიშნულ მოქალაქეებს საშუალებას აძლევდნენ, წინასწარ შეპირებული ჯარიმების რაოდენობის მიხედვით გაკეთებული ფსონით მოგება მიეღოთ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიების ხელთ არსებული მონაცემებით, ანალოგიური სქემით მოქმედებენ სხვა მსაჯებიც, რომელთა მიმართ გამოძიება გრძელდება. გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მსაჯებთან კონტრაქტები გაუქმდა და მათ მსაჯობა სამუდამოდ აეკრძალათ. მომხდარში მონაწილე ფიფა-ს მსაჯის შესახებ კი ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდა ფიფა-ს და უეფა-ს, რათა აღნიშნული მსაჯი ფიფა-ს სიიდან გაირიცხოს.

„ვერსიანიუსი“

„სითი პარკს“ ბიუჯეტში ერთჯერადად 145 ათასის, ყოველთვიურად კი 10 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა

თბილისის მერიის ინფორმაციით, კომპანიას 2007 წლიდან კუთვნილი დასუფთავების მოსაკრებელი არ გადაუხდია, რაც „სითი პარკის“ დაჯარიმების მიზეზი გახდა.

დედაქალაქის მთავრობაში აცხადებენ, რომ კომპანიას დაცული ავტოსადგომებისთვის დაახლოებით 500 ათასი კვ.მ ოდენობის ტერიტორია ჰქონდა აღებული, რომლის დასუფთავებისთვის შესაბამისი გადასახადი უნდა გადაეხადა. როგორც მერიაში აღნიშნავენ, 7 წლის განმავლობაში თანხის გადაუხდელობამ დედაქალაქის ბიუჯეტი დაახლოებით 900 ათასი ლარით აზარალა, თუმცა ამის მიუხედავად, კომპანია მხოლოდ 2013 წლის 1 ივნისიდან გადაუხდელი თანხით დაჯარიმდა, რამაც 145 ათასი ლარი შეადგინა. თბილისის მერის, დავით ნარმანიას განმარტებით: **„იყო ჩამონათვალი მთელი რიგი ორგანიზაციებისა, ვინც დასუფთავების კუთვნილ მოსაკრებელს არ იხდიდნენ. ასევე იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც შემცირებული მოცულობით იხდიდნენ ამ მოსაკრებელს, ამიტომ პირადად დავავალე „თბილსერვისჯგუფს“, რომ დედაქალაქში მოსაკრებლის დარიცხვასთან და გადახდასთან დაკავშირებით სრული ინვენტარიზაცია მოხდეს და გვინდა მოსაკრებლის, როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებლობის ფორმის ადმინისტრირება გავამკაცროთ“.**

„პირველი“

„ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობები წინ არ წაწეულა“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

27 სექტემბრამდე ორიოდე დღით ადრე, პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, პაატა ზაქარეიშვილს მოუსმინეს, რომელმაც აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება მიმოიხილა. თუმცა, როგორც სხდომის დასრულების შემდეგ რამდენიმე დამსწრემ აღნიშნა, ახალი არც არაფერი თქმულა.

საინტერესოა ისიც, რომ სხდომას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელს, გიორგი ვოლსკის მიყავდა, დიასპორების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შალვა კიკნაველიძესთან ერთად. თავად კომიტეტის თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე კი, რომელსაც პარლამენტის აპარატი და საკუთარი პარტიის წევრებიც კი იშვიათად თუ მოჰკრავენ თვალს, არც ამ გაფართოებულ სხდომაზე გამოჩენილა. შეხვედრას ვიქტორ დოლიძე, დავით და ლევან ბერძენიშვილები, გორის მაჟორიტარი სოსო ვახტანგაშვილი, მანანა კობახიძე, გიორგი გოზალიშვილი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი ესწრებოდა. ფაქტობრივად, არ უაქტიურია არასამთავრობო სექტორსა და აჭარის მთავრობას. პაატა ზაქარეიშვილის ერთსაათიან მოხსენებაში კი რამდენიმე საინტერესო პასაჟის გამოყოფა შეიძლება. კერძოდ, მან აფხაზეთში ე.წ. არჩევნების შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და განაცხადა, ანქვაბი ბევრად „დიპლომატი“ იყო, ბაღაფში კი გაცილებით ხისტია და სავარაუდოდ, აფხაზეთის პოლიტიკური ღერძი რუსეთისკენ უფრო მეტად გადაიხრება. თუმცა, მისი ვარაუდით, აფხაზური მიწების რუსებზე გასხვისება მასობრივ სახეს მაინც არ მიიღებს. სხვათა შორის, შიგადაშიგ, ისეთი საინტერესო შეფასებებიც ისმოდა, როგორიც „ნაციონალური ფაშიზმი“ და „ქართული რევანშიზმია“. მინისტრმა ისიც აღნიშნა, წელს აფხაზეთში დასასვენებლად უამრავი ოსი ჩავიდაო და დააყოლა, საქართველოს მიერ არჩეული ევროპული კურსისა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის კვალდაკვალ, ქართულ პასპორტებზე მოთხოვნა გაიზრდებაო. არგუმენტად, ზაქარეიშვილმა ევროკავშირში კვიპროსის შესვლის შემდეგ შეცვლილი ვითარება მოიყვანა. მოგვიანებით, როცა მინისტრს აფხაზეთში არსებული ვითარების შეჯამება ვთხოვეთ, კვიპროსის მაგალითი კიდევ ერთხელ ახსენა — როგორც ჩანს, მრავალწლიანი კონფლიქტის შემდეგ, კვიპროსის ევროკავშირში ინტეგრირება დღეს ჩვენი ერთადერთი დამამშვიდებელი პრიზია: **„ორი ათეული წლის შემდეგ, აფხაზეთთან სამშვიდობო პოლიტიკას ვატარებთ და მათ საქართველოს წინააღმდეგ დღეს არანაირი დღის წესრიგი არ გააჩნიათ. ვფიქრობ, ეს პოლიტიკა უფრო ამართლებს. ასე რომ არ იყოს, ამ პოლიტიკას არც გავატარებდი. მთელი უბედურება ისაა, რომ შედეგების მიღწევა და კონკრეტული ვადების დათქმა გვინდა, რაც ძალიან რთულია. ბოლო საომარი მოქმედებებიდან კვიპროსზე 40 წელი გავიდა და დღეს კვიპროსი ევროკავშირის წევრია. ერთადერთი, რაც თამამად შემიძლია გითხრათ ისაა, რომ ჩვენს შემთხვევაში, ევროინტერგაციას გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება“.**

ევროპულ პოლიტიკაზე აქცენტი იყო ზაქარეიშვილის ანგარიშის კიდევ ერთი მთავარი ნაწილი. მისი აზრით, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ევროკავშირთან ვიზების გამარტივებაც დაინტერესებს. თუმცა შერიგების მინისტრს არც ის დაუმალავს და განაცხადა, რომ დღეს საქართველო-აფხაზეთს შორის „კონტაქტები მინიმუმამდეა დაყვანილი“. დასასრულს, კონკრეტული, რაც მინისტრმა განაცხადა, ეს უმრავლესობისთვის იმის შეხსენება იყო, რომ პროცედურულ ომსგადაყოლილი „კანონი ოკუპაციის შესახებ“, კვლავაც შესაცვლელია. გარკვეული ხნის წინ, ან კანონის შედარებით ჰუმანური ვარიანტი პარლამენტში განსახილველად შევიდა, თუმცა პირველი მოსმენის შემდეგ ადგილზე გაიყინა. პაატა ზაქარეიშვილმა კი თანაგუნდელებს თემის დაძვრისკენ მოუწოდა. სხდომის დასრულების შემდეგ „ვერსიისთვის“ კომენტარი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ვოლსკიმ** გააკეთა: **„სამწუხაროდ, ურთიერთობის დარეგულირების ბევრი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან და წარსული შეცდომებიც უნდა გავაანალიზოთ. ეს საქმიანი შეხვედრა გახლდათ, რადგან ბევრს წარმოდგენა არ ჰქონდა აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე. ეს სხდომა 27 სექტემბრისადმი არ მიგვიძღვნია, ამ დღეს თავისი ტრაგიზმი აქვს და განსაკუთრებულად აღინიშნება. რაც შეეხება „კანონს ოკუპაციის შესახებ“, ვფიქრობ, ზოგადად, მის განხილვას უნდა დავუბრუნდეთ, თუმცა ეს სასწრაფო და გადაუდებელ საკითხად არ მიმაჩნია“.**

„ნაციონალური ფაშიზმიდან“ „ქართულ რევანშიზმამდე“ — მინისტრისა და დეპუტატების შეფასებები აფხაზეთზე

„ვერსიას“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი** ესაუბრა: **„ძალიან ხისტად გეტყვით — ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობები წინ არ წაწეულა. ან როგორ წაიწეოდა, როცა 9 წლის განმავლობაში სად ვიყავით, ისიც არ ვიცოდით. ტერიტორიების დაკარგვის მეტი წინა მთავრობას არაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, ჩვენს შორის ადამიანური ურთიერთობები არ დაკარგულა. აფხაზები ახლაც მირეკავენ და აი, ეს გვიშველის — აქცენტის გაკეთება მხოლოდ დადებითზე, შეხების წერტილების ძიება. სახელმწიფო დონეზე ეს არაფერს ცვლის, მაგრამ, როცა მთავრობა დაინახავს, რომ ჩვენ, მოქალაქეები ამ გზას ვადგავართ, თავადაც ასე მოიქცევა. ამ 2 წელში ამაზე მეტი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. პარლამენტში ამაზე საუბარი რომ დაიწყო, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია და იმედია, მთავრობაც ჩაერთვება. 27 სექტემბერს სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქი წირვას ჩაატარებს, შემდეგ გმირთა მოედანზე ხატს წამოვაბრძანებთ და ნუცუბიძის სასაფლაოზე ავალთ. მთელი 27 სექტემბერი მოგონებების დღე იქნება. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვცდილობ, აფხაზეთში მოღვაწე კულტურისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს იქ არსებული მძიმე მდგომარეობა შევუმსუბუქო. პედაგოგები რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარ სახლებში ბავშვებს ქართულს ასწავლიან. ამ ქალბატონებსა და ბატონებს ვეუბნები, რომ მალე დადგება დრო, როცა ისინი საქართველოს მთავრობის მიერ გმირებად შეირაცხებიან!“**

სხდომას არ ესწრებოდა ნაციონალური მოძრაობა, რადგან საპარლამენტო უმცირესობა თბილისში კომიტეტების გადმოტანას კვლავ ბოიკოტს უცხადებს. როგორც გაირკვა, მინისტრ ზაქარეიშვილს პარლამენტი ოქტომბერში კვლავ მოუსმენს, ხოლო ამის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში ჟენევის დელეგაციის ხელმძღვანელობასაც ელიან.

პატიმრები მასობრივ შიმშილობას იწყებენ

ციხეში ბუნტს ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ბაჩო ახალაია გეგმავენ?

რუსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური მოძრაობა გაუარესებულ კრიმინალურ მდგომარეობასა და ციხეებში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების გაძლიერებაზე საუბრობს. ხელისუფლება კი, ოპოზიციას დესტაბილიზაციასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში ამხელს. სანამ პოლიტიკურად დაპირისპირებული ორი მხარე საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს, შესაძლოა №7 და №17 საპყრობილის პატიმრებმა მასობრივი შიმშილობა გამოაცხადონ. ამის შესახებ „ვერსიასთან“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** საუბრობს. პროცესის პროვოცირებაში, ნაციონალურ მოძრაობას სდებს ბრალს. მისი ინფორმაციით, პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ბაჩო ახალაიაც საპყრობილეში ქაოსური მდგომარეობის შექმნას ხელს უწყობენ: **„ნაციონალურ მოძრაობას და მათ მიერ მართულ მედიასაშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ექსპერტებსა და მათთან კავშირში მყოფ სხვადასხვა ჯგუფებს სურთ საზოგადოებაში შექმნან განცდა, რომ ქვეყანა კრიმინალების გავლენისგან, დანაშაულების ჭაობში იხრჩობა. მათი მიზანი, რევანშის აღებაა და ამისთვის სწორედ ციხის თემა შეარჩიეს. პოლიტიკურად გაკოტრებული სააკაშვილიც დაიმუქრა, ამ ხელისუფლებას მეც ციხიდან დავამთავრებო. ჩემი ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შიმშილობის, პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენებისა და პროტესტის სხვადასხვა ფორმის გამოსავლენად ამ ჯგუფებმა მუშაობა უკვე დაიწყეს. კერძოდ, შიმშილობის დაწყებას აპირებენ მე-17 და მე-7 საპყრობილეში. პატიმრებს მითითებებს აძლევენ, დაიწყონ პროტესტი და ადმინისტრაციის შეცვლა მოითხოვონ. სამწუხაროდ, პატიმრების თემის გამოყენებას ფინანსური დაინტერესებით სხვადასხვა ჯგუფებიც გეგმავენ. როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავასა და ბაჩო ახალაიას ციხეში გაუჭირდათ და ნაციონალები გარედან ყველაფერს აკეთებენ ვითარების ასარევად. ხელისუფლებას მოვუწოდებ, შესაბამისი ზომები მიიღოს და ნაციონალებთან დაკავშირებული ჯგუფების პროვოკაციების სისრულეში მოყვანა არ დაუშვას“.**

მე-7 საპყრობილის ადმინისტრაციის შეცვლის მოთხოვნამ მართლაც გაიჟღერა, თუმცა ციხის გარეთ, სადაც პატიმრების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი პირობებიც გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ პირობებს ხშირად პატიმრებზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მიზნით ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამძიმებენ. მათივე ინფორმაციით, მე-7 საპყრობილეში 10-მდე პატიმარი უკვე შიმშილობს.

სხვადასხვა საპყრობილეში პატიმრების შიმშილობის დაწყების ალბათობას არ გამორიცხავს უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძეც**, მაგრამ აცხადებს, რომ პროტესტი მასობრივ სახეს არ მიიღებს: **„შიმშილობა ციხეებში, ალაგ-ალაგ, ყოველთვის იყო და შესაძლოა, ახლაც არის, მაგრამ არ მგონია, ამან მასშტაბური სახე მიიღოს. პატიმრებს თითქმის ყოველდღე ვხვდები და მათგან ინფორმაციას მუდმივად ვიღებ — ძირითადი მოთხოვნა საქმეების გადახედვაა, რადგან მიიჩნევენ, რომ განაჩენი უკანონოდ გამოუტანეს. ასევე მათ წინა ხელისუფლების პირობებში მიღებული ფიზიკური ტრავმების შემდეგ სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვაც ესაჭიროებათ. „მაყურებლის“ ინსტიტუტი ყოველთვის მუშაობდა, მაგრამ დღეს ციხეს რეალურად ადმინისტრაცია აკონტროლებს. პრობლემები არის და ამაზე საზოგადოებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას ადამიანის უფლებებზე საუბრის მორალური უფლება არ გააჩნია. მე-8 საპყრობილედან ყოველდღე მინიმუმ ერთი გვამი გამოჰქონდათ, რადგან სადისტური მმართველობის სისტემა შექმნეს. ყველამ იცის, რომ ევროპულ სტანდარტებს ქართული ციხეები დღესაც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ნაციონალები საზოგადოებას დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიან. საზოგადოება ერთ დღესაც „ქართულ ოცნებას“ რომ გადაუდგეს, ნაციონალებს მხარს არავინ დაუჭერს. მათი მმართველობა მომავალ თაობებს ემახსოვრება. რაც შეეხება საპროტესტო აქციას, მე-7 საპყრობილე აუცილებლად დასახურია, რადგან არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. პენიტენციური დაწესებულება შს სამინისტროს სარდაფში არ უნდა ფუნქციონირებდეს. შესაბამისად, მე-7 საპყრობილეში პატიმრების შიმშილობა ლოგიკურად მეჩვენება, №17 დაწესებულებაზე კი ინფორმაცია არ მაქვს“.**

„ვერსია“ დაინტერესდა, რა ინფორმაცია აქვს სასჯელაღსრულების სამინისტროს №7 და №17 საპყრობილეებში პატიმრების მიერ შესაძლო მასობრივი შიმშილობის გამოცხადების შესახებ და მართავს თუ არა პროცესს ნაციონალური მოძრაობა? სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი თაია მახარაშვილი აცხადებს, რომ მართული ადვოკატებისგან გამორიცხული არაფერია, თუმცა არსებული ვითარება ამის თქმის საფუძველს არ გვაძლევს.

„გუნდი არ მეწდო და შანსი არ მომცა!“

რა შემთხვევაში წავა ოპოზიციაში და რატომ ნანობს პრეზიდენტად მარგველაშვილის არჩევას გედევან ფოფხაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე „ვერსიას“ საპარლამენტო ცხოვრებაზე, საკუთარი გუნდის შეცდომებზე, მიღწეულ წარმატებებსა და განცდილ კრახზე, პრეზიდენტისა და პრემიერის პოლიტიკურ კინკლაობასა და იმ მიზეზებზე ესაუბრება, რის გამოც, შესაძლოა, ოპოზიციაში წავიდეს.

— ბარბარე რაფალიანცის საქმე ისევ გამოსაძიებელია, „ოცნება“ კი ამ თემაზე კომისიის შექმნას სასტიკად ეწინააღმდეგება. რატომ?

— ეს ტრაგედია თემის გაპოლიტიკურების გამო გაცილებით დამძიმდა. ბოდიში იმიტომ მოვიხადე, რომ ცილისწამება საშინელი რამაა, მით უმეტეს, ასეთ თემაზე. შუა საუკუნეებში, ბრალმდებელი ბრალს თუ ვერ ამტკიცებდა, ისევე სჯიდნენ, რა სასჯელსაც ბრალდებულისთვის ითხოვდა! 2 წლის წინ ემოციური ფონი ძალიან დიდი იყო, მანანა ბერიკაშვილიც ემოციური ქალია და მის საქციელს გამართლება არ აქვს. რაკი საქმე მყისიერად ვერ გამოვიძიეთ, ის მაინც უნდა გვეთქვა, „ოცნება“ ამ თემის პოლიტიზებას ემიჯნება და არავის არაფერს ვაბრალებთო. თუმცა საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არც მე ვუჭერ. საერთოდ, გამოვრიცხავ, ბავშვის მკვლელობა ვინმეს პოლიტიკური მიზნით ნდომებოდა. მანანა ბერიკაშვილის მიმართ სკეპტიკური და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება მაქვს, ასევე გიორგი ღვინიაშვილის მიმართაც, მაგრამ თანაბრად მიუღებელია, ამ ტრაგედიის მოწყობა რომელიმეს დავაბრალოთ. მიმაჩნია, ამ საკითხზე, უდანაშაულობის პრეზუმპცია მთელ პოლიტიკურ ძალაზე უნდა გავრცელდეს.

— მაშინ რას ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის გაღიზიანება, როცა კომისიის შექმნის იდეის მხარდაჭერაზე საუბრისას, ვიქტორ დოლიძეს მიკროფონი გამოურთო?

— დავით უსუფაშვილს მიკროფონი ამ მიზეზით არ გამოურთავს. თან იმ დღეს ვიკაც ემოციური იყო, რადგან მანამდე ბარამიძესთან წაკინკლავდა. საკითხი მარტივად დგას — კომისია რომც შეიქმნას, ბარბარე რაფალიანცის საქმის გამოძიების კი არა, ტრაგედიის კიდევ უფრო გაპოლიტიკურების კომისია იქნება. ზოგადად, პარლამენტში მსგავსი კომისიების შექმნას ყოველთვის ვეწინააღმდეგები.

— პარლამენტის თემას მივყვეთ — თბილისსა და ქუთაისს შორის გაუთავებელი მგზავრობა სადეპუტატო საქმიანობას უფრო ცოცხალსა და პროდუქტიულს ხდის და არც კონსტიტუცია ირღვევა?

— კომიტეტის სხდომები თბილისის იუსტიციის სახლში აქამდეც ჩაგვიტარებია. გასვლით სხდომებში, რეგლამენტის 49-ე მუხლის მიხედვით, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. დეპუტატების ნაწილი ქუთაისში მხოლოდ სასესიო კვირაში დადიოდა, საკომიტეტო კვირაში კი კომიტეტის სხდომის შეკრებაც კი პრობლემა იყო. რეალურად, პოლიტიკური ცხოვრება თბილისში მიდის. ნაციონალებმა ქუთაისში მხოლოდ ხარჯი და ადმინისტრაცია გადაიტანეს და არა პროცესი. ფაქტია, თბილისშია კონცენტრირებული არასამთავრობო სექტორიცა და მასმედიაც. დეპუტატები კი პოლიტიკურ ცხოვრებას არ მოწყდებიან და მათი საქმიანობაც უფრო გამჭვირვალე იქნება.

— შესაბამისად, მეტი ფულიც დაიხარჯება, რასაც ახალი ავტოსადგომის ხარჯი, მილიონ ლარზე მეტი ემატება მაშინ, როცა პარლამენტის შენობას თავისი ავტოსადგომი ისედაც აქვს!

— მომხრე ვარ, დეპუტატებს ავტომობილები საერთოდ აღარ გვყავდეს და ტრანსპორტირების ხარჯის კომპენსაცია ფინანსურად მოხდეს. გამოგვიყონ რაღაც თანხა და გვითხრან, თქვენ თავად იარეთ და ბენზინიც ჩაისხითო. მხოლოდ ბენზინის ხარჯი, თითო მანქანაზე, თვეში 400 ლიტრია, ანუ დაახლოებით 800 ლარი. მანქანა მეც მემსახურება, მაგრამ ყველამ იცის, რომ არ ვსარგებლობ და ფეხით დავდივარ. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიყენებ, როცა ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება მიწევს. მირჩევნია, თანხა მომცენ და საკუთარ ტრანსპორტირებაზე თავად ვიზრუნო, თუმცა ეს შეთანხმების საგანია მთავრობასა და პარლამენტს შორის. საჭიროა საუბარი, რათა ეს ხარჯი შემცირდეს და როგორც ვიცი, ამ საკითხზე დავით უსუფაშვილი და აპარატის თანამშრომლები უკვე ფიქრობენ.

— თქვენს კომიტეტში რა ხდება — 2 წლის წინ განცხადებების რაოდენობით პირველ ადგილზე იყავით, დღეს ადამიანის უფლებები აღარ ირღვევა?

— ჩვენთან იმაზე 10-ჯერ მეტი განცხადება შემოდის, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, თვეში 800 განაცხადზე მეტი. საქმე, ძირითადად, ისევ ძველ დარღვევებს ეხება: წართმეულ ქონებას, უკანონო დაპატიმრებას, შეუსაბამო ბრალს. ადრე ამ ხალხს ხარვეზების კომისიის იმედი ჰქონდა, ახლა კი ამ კომისიის ბედი ცაშია გამოკერებული და ისევ ჩვენ გვწერენ, ციხეში უკანონოდ ვზივარ, გვიშველეო.

— ციხეები ისევ დიდი პრობლემაა: სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, შიმშილობა, ბუნტი, ე.წ. მაყურებლების ინსტიტუტი — რა ხდება, 2 წელი არც ამის შესაცვლელადაა საკმარისი?

— ციხე, ზოგადად, მთელი საბჭოთა კავშირისთვის პრობლემა იყო. ბელგიის ერთ-ერთი ციხის დირექტორმა ვიზიტის დროს გვითხრა, თქვენი პატიმრები სხვებისგან განსხვავდებიან, საჩივრებს წერენ და რომ ვხვდებით, მერე ციხის მართვაში დახმარებას გვთავაზობენო. რაც შეეხება „მაყურებლებს“, მეც ვხვდები პატიმრებს, რომლებიც ამაზე წუწუნებენ, მაგრამ კონკრეტულ გვარებს არ მისახელებენ. უკეთესობისკენაც შეიცვალა ბევრი რამ — ბევრი პატიმარი დასაქმებულია და ხელფასსაც იღებს. სხვათა შორის, პირობების ან ცუდი მოპყრობის გამო არავინ შიმშილობს და პროტესტი ყოველთვის განაჩენების გამოა.

— ძველი განაჩენები, ძველი ბრალდებები — ხელისუფლება საერთოდ რამეზე იღებს პასუხისმგებლობას?

— ბევრ რამეზე... თუნდაც იმაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერლიზაცია უნდა დაიწყოს. შეიცვალოს ყბადაღებული 260-ე მუხლი და საერთოდ, მთელი სისხლის სამართლის პოლიტიკა. კონცეპტუალური მიდგომაა საჭირო, რაზეც გუნდი ვერ შეთანხმდა.

— მიდგომების ლიბერალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ლუდის სმაზე ჯარიმა და ქუჩის რეიდებია?

— ისიც კარგი იქნებოდა, სამართალდამცავ ორგანოებში ტრენინგები ტარდებოდეს და ადამიანებს უხსნიდნენ, როგორ უნდა შეამოწმონ ვიღაც ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენონ. ადამიანების დაცვა უხეში ფორმით არ შეიძლება — ეს ბევრმა ჩემმა ახლობელმაც მითხრა.

— თქვენი აზრი პრეზიდენტისა და პრემიერის კინკლაობაზეც საინტერესოა.

— გიორგი მარგველაშვილის პოზიციას უარყოფითად ვაფასებ. ვიღაც ფიქრობს, რომ დეპუტატები პრემიერზე იღებენ ორიენტირს. ასე არაა. უბრალოდ, რაც მარგველაშვილმა გააკეთა, არ გავაკეთებდი. იმის თქმა, ოპონირების რეჟიმში ვიქნები ხელისუფლებასთანო, არასწორია.

— ეს თქვენც არაერთხელ გითქვამთ. დაიმუქრეთ კიდეც, მაჟორიტარის მანდატს დავტოვებო, როცა საუბარი იპოთეკარების თემაზე იყო. ასეა?

— ჰო, მაგრამ მე არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ გადამიდგამს, იპოთეკარების თემაზე კი მორატორიუმი და ჩემთვის შანსის მოცემა ვითხოვე, რათა რაღაც ინიციატივები დამემუშავებინა. ჩემი პოლიტიკური გუნდი არ მენდო და შანსი არ მომცა. თუმცა, როცა რაღაცაზე უარს გეუბნებიან, ამის გამო გუნდიდან კი არ უნდა წახვიდე. კინკლაობით საქმე ფუჭდება. მაგალითსაც მოგიყვანთ: სულ არ მაინტერესებს, ვინ ვისთან ჩხუბობს. მინდა, შეწყალების კომისია გამართულად მუშაობდეს. მქონდა იდეა, ამ კომისიას ხარვეზების დადგენის კომისიის მოვალეობებიც შეეთავსებინა. შეწყალების კომისიიდან უარი მივიღეთ, მარგველაშვილს კი ბევრი ბერკეტი ჰქონდა, ყველაფერი დადებითი შედეგით დაესრულებინა. რეალურად, კი პოლიტიკური მხარეა, ნაცვლად იმისა, მაკონსოლიდირებელი ფაქტორი იყოს. იმ აზრსაც ყველა უნდა შეეგუოს, რომ საპარლამენტო მოდელისკენ მივდივართ. მთავრობასთან დაპირისპირებული პრეზიდენტი კი ამ მოდელში არ ჯდება! პრეზიდენტი უმრავლესობასთან შეხვედრის სურვილს თუ გამოთქვამს, სიამოვნებით მივალ და ჩემს კრიტიკულ შენიშვნებს მოვახსენებ — ვფიქრობ, რომ მარგველაშვილი მართალი არ არის!

— ცოტა ხანში პარლამენტმა ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს. პრეზიდენტთან ამ დაპირისპირების ფონზე, ბიუჯეტი რომ ჩავარდეს, ვერც მთავრობა გადააყენოთ და მარგველაშვილმა დაგითხოვოთ, ამაზე გიფიქრიათ?

— ამის სამართლებრივი საფუძველი არსებობს. შეიძლება, ბიუჯეტი არ შესრულდეს, მაგრამ არ ჩავარდება. ამ ეტაპზე, მთავრობის პოლიტიკური გუნდი ოპტიმალურია და მეეჭვება, ის რომ წავიდეს, მასზე უკეთესი მოვიდეს. ზოგადად, მარგველაშვილი არ მესიმპათიურება. პრეზიდენტად რომ არ აგვერჩია, კარგს ვიზამდით, ვინმე სხვა უნდა გვეპოვა.

— მაინც ვინ, ირაკლი ალასანია?

— რატომაც არა. როცა ირაკლის კანდიდატურაზე იყო საუბარი, ყველამ ვთქვით, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა პოსტიდან, მთავარია, საქმის კეთების საშუალება გვქონოდა.

— ისე, ამ ბოლო დროს ალასანიასა და მისი პარტიის ოპოზიციაში წასვლაზე ბევრს საუბრობენ. რა უნდა მოხდეს, ასე რომ მოიქცეთ?

— მხოლოდ საკუთარ თავზე გეტყვით — ხელისუფლებამ დემონსტრაციულად უნდა დააფიქსიროს ჩემთვის მიუღებელი ღირებულებები. მაგალითად, ქვეყნის საგარეო კურსი და თუ ჩავთვლი, რომ საქართველო არასწორად მიდის, ოპოზიციაში წავალ.

შს სამინისტროს ფეხბურთელთა გუნდი ევროპის პოლიციელების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეხბურთის გუნდი ევროპის პოლიციელების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული წელს მესამედ გახდა. შსს-ს საფეხბურთო ნაკრებმა 18-21 სექტემბერს ქალაქ ვილნიუსში, ევროპის პოლიციელების ჩემპიონთა ლიგაში წელს, შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით, უკვე მეხუთედ იასპარეზა. სამინისტროს საფეხბურთო გუნდი უკვე 5 წელია მონაწილეობს აღნიშნულ ჩემპიონატზე და დღემდე 2 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

წელს ჩემპიონატზე ევროპის 8 ქვეყნის 20 გუნდი ასპარეზობდა. საქართველოს ნაკრები თურქეთის, ისრაელის, ლიტვის და „ლიტვის პოლიციის საერთაშორისო ასოციაციის“ გუნდებს შეხვდა. ფინალური შეხვედრა ქართველმა პოლიციელებმა პოლიციის საერთაშორისო ასოციაციის გუნდთან გამართეს, რომელიც დამაჯერებელი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. გამარჯვებულ გუნდს ოქროს მედლები და ევროპის პოლიციელების ჩემპიონთა ლიგის თასი გადაეცა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ საბურთალოზე მომხდარი ყაჩაღობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გიორგი ქ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გიორგი ქ-მ პეკინის ქუჩაზე, გვიან ღამით ქალბატონისთვის ჩანთის წართმევა სცადა. მან ქალბატონს ყელისა და ხელის არეში დანით მსუბუქი დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში აღმოუჩინეს. მის ჯანმრთელობას ამ დროისთვის საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი ქ. მომხდარიდან მეორე დღეს თბილისში, კოსტავას ქუჩაზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვისთვის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ნასამართლევი რომან ბ. მარნეულში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩრეკისას, საბარგულიდან გადაჭრილი თოფი – ე.წ. „აბრეზი“, 3 საბრძოლო ვაზნა, ქარხნული წესით დამზადებული „ეფ-1“-ის ტიპის 1 ხელყუმბარა და ქარხნული წესით დამზადებული 1 ამფეთქი ფალია ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„წელს გადაუმუშავებელი ყურძენი არ დარჩება!

კახეთში „რთველი — 2014“ აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეისთვის უკვე 87 000 ტონამდე ყურძენია გადამუშავებული. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, გლეხები ყურძენს უპრეცედენტოდ მაღალ ფასში აბარებენ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წელსაც, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით, თეთრი და წითელი ყურძნის სუბსიდირება განხორციელდა. ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზიდან გამომდინარე, წელს სუბსიდია 1 კგ. რქაწითელზე 35 თეთრი, 1 კგ საფერავსა და კახურ მწვანეზე — 15 თეთრია. ამჟამად, კახეთში სხვადასხვა ჯიშის ყურძენს ღვინის 35 ქარხანა იბარებს. რთველის დაწყებიდან დღემდე, ყურძნის მიღება-გადამუშავებაში ღვინის მწარმოებელმა 65-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, სულ რეგისტრირებულია 87 კომპანია. რთველთან დაკავშირებით მუშაობს ცხელი ხაზი — 2 47 01 01, რომელიც დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება.



გაერო-ს სამიტამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რთველს დაესწრო. მისი თქმით, რთველის წარმატება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა პროგრამებმა განაპირობა. მან ისიც აღნიშნა, რომ დასეტყვილ და გვალვისგან დაზიანებულ ყურძენს სახელმწიფო კომპანია „გრუზვინპრომი“ იბარებს, რაც გლეხისთვის უმნიშვნელოვანესია: **„წინა ხელისუფლება გლეხს ვაზის გაჩეხვას აიძულებდა. ჩვენი მონაცემებით, წელს ყურძნის ჩაბარებით, თითოეულმა ოჯახმა მნიშვნელოვანი შემოსავალი მიიღო, ზოგ შემთხვევაში 100 000- 200 000 ლარამდეც კი. ეს ჩვენი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას. რაც მთავარია, დღეს ჩვენ გვაქვს გასაღების ბაზარი. ჩვენი მთავრობის აქტიური მუშაობის შედეგია, რომ ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა“.**

2012 წელს, კახეთში უპრეცედენტო რაოდენობის — 100 000 ტონა ყურძენი მოიკრიფა და ინდუსტრიულად გადამუშავდა. მართალია, რთველი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ წლევანდელი ციფრები შარშანდელთან შედარებით, უკვე რეკორდულია. ამის მიუხედავად, 31 აგვისტოს, ღვინის რამდენიმე მწარმოებელმა საფერავის ფასი დასწია, რამაც კახელი გლეხების უკმაყოფილება გამოიწვია და აქციებიც მოაწყვეს. ღვინის სააგენტომ სპეციალური განცხადებაც გაავრცელა: **„იმ დროს, როდესაც ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა ისედაც შეამცირა მოსავალი და მისი ხარისხი, რთვლის შეფერხება და ჩაშლის მცდელობა საბოტაჟის სახეს იღებს. ჩნდება ეჭვი, ეს პროცესი ხელოვნურად ხომ არაა მართული? წელს, ყურძნის ფასი უპრეცედენტოდ მაღალია და ისტორიულ მაქსიმუმს შეადგენს. შარშანდელთან შედარებით, საფერავის ფასი 50%-ით მეტია. ამასთან, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მოსახლეობას დაზიანებული ყურძნის ჩაბარების პრობლემაც არ ექმნება. აქედან გამომდინარე, მევენახეების მხრიდან ფასის გაპროტესტება და რთვლის შეფერხება გაუმართლებელია. რამდენიმე დღის წინ, მართლაც დაფიქსირდა საფერავის განსაკუთრებით მაღალი ფასი — 2.35 ლარი, თუმცა შემდეგ ფასმა 1.50 ლარამდე დაიწია. სახელმწიფო ფასების რეგულაციაში არ ჩაერევა, რადგან ფასს ბაზარი არეგულირებს. მოვუწოდებთ მევენახეებს, აგროვადების დაცვით დაკრიფონ ყურძენი და ნუ შეაფერხებენ რთველს“.**

კიდევ ერთი პრობლემა, ღვინის ქარხნებთან შექმნილი დიდი რიგებია. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, გლეხები ორი დღე-ღამის განმავლობაში დგანან რიგში, რადგან მათი თქმით, ქარხნების უმეტესობამ ყურძნის ჩაბარება უკვე დაასრულა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებმა, ღვინის ქარხნებთან 48-საათიანი რიგი გურჯაანის რაიონში გადაიღეს, რაც იმის ბრალია, რომ „ბიძაშვილ-მამიდაშვილობა“ ჯერ კიდევ არ მოშლილა, ან ქარხნები მუშაობას ადრე ასრულებენ. გლეხებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ და ხშირად, ყურძნის ჩაბარება სხვა რაიონში უწევთ, რასაც ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება.

„ვერსია“ ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორს, **ლევან დავითაშვილს** დაუკავშირდა:

— მართალია, კახეთის რიგ რაიონებში ყურძენი გვალვამ დააზიანა, მაგრამ ციფრებს რომ გადავხედოთ, დღეს უკვე 34 000 ტონა საფერავია გადამუშავებული, შარშან მხოლოდ 25 000 ტონა გადამუშავდა. საგარეჯოს რაიონსა და შიდა კახეთში, დღევანდელი მონაცემებით, უკვე 87 000 ტონა ყურძენია გადამუშავებული, არადა შარშან ჯამში 92 000 ტონა ყურძენი გადამუშავდა. შარშანდელი რეკორდი უკვე მოხსნილია, არა მარტო რაოდენობრივად — შარშან კახეთის მოსახლეობამ რთვლის შედეგად, ჯამში 100 000 000 ლარი მიიღო, წელს კი 130 000 000-მდე და რთველი ჯერ არ დასრულებულა.

— 31 აგვისტოს, რამდენიმე მეწარმემ საფერავი გააიაფა, რამაც გაუგებრობა გამოიწვია გლეხებში. რეალურად რა მოხდა?

— სახელმწიფო ყურძნის ფასში არ ერევა! მოსახლეობა უკმაყოფილო იყო საფერავის ფასის შემცირებით, მიუხედავად იმისა, რომ შემცირებული ფასიც საკმაოდ მაღალი იყო. საფერავის ფასი 1.80-დან 2 ლარამდე მერყეობდა, მაგრამ საბოლოო მონაცემებს რომ გადახედოთ, 1 კგ. საფერავი 2 ლარზე მეტი ღირს.

— კახელ გლეხებს ღვინის ქარხნებთან რიგში დგომა უწევთ. რატომ შეიქმნა ეს პრობლემა?

— ამინდის გაუარესების შიშით, მოსახლეობა ცდილობს, ყურძენი ერთბაშად დაკრიფოს. არადა, ღვინის ქარხნებს გარკვეული წარმადობა აქვთ და განსაზღვრულ დროში ღვინის გარკვეული რაოდენობის მიღება შეუძლიათ. ორი წელია ვამბობ, თუ ქარხნები იმაზე მეტი რაოდენობის ყურძენს მიიღებენ, ვიდრე ამის რესურსი აქვთ, ამას რიგები მოჰყვება — ყურძნის გადამუშავებას გარკვეული დრო სჭირდება. მოსახლეობას ვურჩევ, ჩვენი შტაბის განრიგს დაემორჩილონ, მით უმეტეს, თითოეულ მუნიციპალიტეტს გარკვეულ მითითებს ვაძლევთ. სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ. ურჩევნიათ, მოკრეფილი ყურძნით იდგნენ რიგში, ვიდრე, მაგალითად, ამინდი გაუარესდეს და სეტყვამ დაუკრეფავი ყურძენი გააფუჭოს. ჩავთვალოთ, ეს მათი გადაწყვეტილებაა და თუ სადმე რიგებია, მხოლოდ ამითაა გამოწვეული. ამ პირობებში, მაინც ვცდილობთ, რიგები გადავანაწილოთ.

— დაზუსტებული ინფორმაცია რთვლის დასრულების შემდეგ გექნებათ, მაგრამ რა რაოდენობის ყურძენს ელით წელს?

— ამის თქმა ძნელია, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, წელს 100 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდება ინდუსტრიულად, რაც შარშანდელზე ბევრად მეტია.

— დაზიანებულ ყურძენსაც იბარებენ ქარხნები?

— წელს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება და ეს სახელმწიფოს დაპირებაა. მიუხედავად იმისა, რომ უამინდობამ ყურძნის გარკვეული რაოდენობა დააზიანა, ქარხნებმა მაინც ჩაიბარეს და დიდი ნაწილი უკვე დაბინავებულია.ჩვენი პროგნოზით, თუ ამინდიც ხელს შეგვიწყობს, სავარაუდოდ, რთველი 10 ოქტომბერს დასრულდება.

სტიქია

შტორმის შედეგად მიყენებულ ზარალს თვის ბოლომდე დაითვლიან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

24 სექტემბერს, ბათუმში, 5-ბალიანი შტორმი იყო. სტიქია აჭარაში 21 სექტემბერს დაიწყო — ძლიერი წვიმისა და ქარიშხლის შედეგად, ელექტროგადამცემი ხაზები და რამდენიმე მონაკვეთზე ბუნებრივი აირის მილები დაზიანდა. ძლიერმა ქარმა ხეები მოგლიჯა და საცხოვრებელი სახლების სახურავებიც დააზიანა. წვიმის შედეგად, ხელვაჩაურში, ხულოსა და ქობულეთში მეწყერიც ჩამოწვა. ბათუმსა და ქობულეთში, ცენტრალური ქუჩები და გარეუბნები დაიტბორა.

ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად, აჭარის გარდა, ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფელიც დაიტბორა. ადგილზე მობილიზებულმა სამაშველო ჯგუფებმა მოსახლეობის ევაკუაცია შეძლეს. რამდენიმე დღის წინ, ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისთის საავტომობილო გზის მე-4 კილომეტრზე მოძრაობა გადაიკეტა, რადგან ადიდებულმა მდინარემ გზის სავალი ნაწილი დატბორა. ადგილზე მობილიზებული იყო სპეციალური ტექნიკა, რომლებმაც გზის აღდგენითი სამუშაოები წვიმის გადაღებისა და წყლის დონის დაწევისთანავე განახორციელეს.

აჭარაში, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, საგანგებო შტაბი შეიქმნა. უკვე ერთი კვირაა, რეგიონში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი ვაჟა ფანჩულიძე და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები იმყოფებიან. რა მდგომარეობაა აჭარის რეგიონსა და გურიაში? როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები? „ვერსიას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით შავლიაშვილი** ესაუბრება.

— ამ დროისთვის ბევრად სტაბილური მდგომარეობაა, როგორც აჭარაში, ასევე გურიაში, მაგრამ სამაშველო ბრიგადები ინტენსიურად მუშაობენ. წყლის კომპანიის 30-კაციანი შემადგენლობაა ჩამოსული ბათუმში, რათა ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარონ. ჩვენი თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ. დღეს ამის აუცილებლობა აღარ არის. ამოტუმბვითი სამუშაოები ახლაც გრძელდება, რამდენიმე ადგილია დარჩენილი ბათუმში. შტორმის შესახებ წინასწარი ინფორმაცია გვქონდა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება სტიქიას მომზადებულები შევხვდით. შედარებით უარესი ვითარებაა აჭარის გარე სოფლებსა და გურიის მდინარეებზე, კერძოდ, ოზურგეთის რაიონში. ხელვაჩაურში, მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა, სოფელი დაიტბორა და 45 ოჯახი გარესამყაროს მოწყდა, მაგრამ ადგილზე ჯგუფი მობილიზებულია და აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

— მოაგვარეთ სასმელი წყლის პრობლემა, რომელიც რამდენიმე სოფელს მდინარეების ადიდების გამო შეექმნა?

— ძირითადად, ოზურგეთის რაიონის სოფლებში შეიქმნა სასმელი წყლის პრობლემა, მაგრამ ადგილზე იმყოფება წყლის კომპანიის რეგიონული ხელმძღვანელობა. წყლის სათავე ნაგებობა, რომლითაც ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფელს წყალი მიეწოდებოდა, დაიტბორა. როგორც კი პრობლემა გაჩნდა, სხვადასხვა რაიონებიდან დამატებითი ჯგუფები გადავაგზავნეთ, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ. საბედნიეროდ, მოსატუმბი ნაგებობა გადაგვირჩა, რამაც საშუალება მოგვცა, წყლის სათავე ნაგებობა მეორე მაგისტრალზე გადაგვერთო და მოსახლეობის დაახლოებით, 30%-ს სასმელი წყალი უკვე მიეწოდება. სპეციალური ჯგუფი წყლის ხარისხის ანალიზზე მუშაობს. მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება, მაგრამ როგორც კი სათავე ნაგებობა აღდგება, ცენტრალურ მაგისტრალზე გადავრთავთ და წყლის მიწოდებას შეუფერხებლად განვაგრძობთ.

— ოზურგეთში, შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისთის საავტომობილო გზის მე-4 კილომეტრზე მოძრაობა გადაიკეტა, ახლა რა მდგომარეობაა?

— მხოლოდ ეს მონაკვეთი გადავკეტეთ, რადგან მდინარის განმეორებითი ადიდების საშიშროება იყო. გზები სხვაგან არსადაა გადაკეტილი. ოზურგეთის რაიონში ცენტრალური გზები დაზიანდა. ჩვენმა სპეციალურმა სამსახურებმა მდგომარეობა შეისწავლეს. აღდგენითი სამუშაოები დაახლოებით 2 000 000 ლარამდე დაგვიჯდება. ფინანსთა სამინისტროსთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რომ ეს თანხა ბიუჯეტიდან გადმოირიცხოს.

— დაახლოებით, რა სახის ზარალი მიადგა აჭარასა და გურიას?

— ამის თქმა რთულია. თვის ბოლომდე, დეტალური ინფორმაცია გვექნება. ზოგადად, აჭარის ხელმძღვანელობას აქვს საშუალება, საკუთარი ძალებით განახორციელოს აღდგენითი სამუშაოები. თუ დამატებითი რესურსებიც დასჭირდება, ცენტრალური ბიუჯეტიდან დავეხმარებით. საბედნიეროდ, ამინდის გაუარესებას აღარ ველით.

რუსუდან შელია
557-100-768

გურამ ოდიშარია მემუარების წერას იწყებს

რატომ მიუძღვნის წიგნს კულტურის მინისტრობის პერიოდს და როგორ პასუხობს საზოგადოების კრიტიკას პრემიერ-მინისტრის მრჩეველი

მინისტრის თანამდებობიდან ორი თვის წინ გათავისუფლებული გურამ ოდიშარია პრემიერ-მინისტრის მრჩეველია — სახალხო დიპლომატიის მიმართულებით მუშაობს და ირაკლი ღარიბაშვილს კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდის. „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ აპოლიტიკური თანამდებობის მიუხედავად, პოლიტიკიდან არ წასულა; მეტიც — მიიჩნევს, რომ კონფლიქტების სფერო სწორედ პოლიტიკის ეპიცენტრია, თუმცა მიმდინარე პროცესების შეფასებისგან თავს იკავებს, სამაგიეროდ, მინისტრობის ორწლიან პერიოდზე საუბარი არ უჭირს... „ვერსია“ გურამ ოდიშარიასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— კონფლიქტოლოგი ვარ. საქართველოს კულტურის მინისტრობამდე 17-18 წლის განმავლობაში კონფლიქტებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ვხელმძღვანელობდი. სახალხო დიპლომატიის ეგიდით ხშირად ვხვდებოდი აფხაზებს, ოსებს... ჩემ მშობლიურ ქალაქ სოხუმში, მინისტრად დანიშვნამდე, ხშირად ჩავდიოდი და იქიდანაც ხშირად მიმიღია სტუმრები. ზოგადად, კონფლიქტის მოსაგვარებლად, სახალხო დიპლომატიას ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს — რიგითი მოქალაქეები პოლიტიკოსები არ არიან, უფრო გულწრფელად და გახსნილად საუბრობენ... ეს არ არის მხოლოდ შეხვედრა შეხვედრისთვის. ერთად ვმუშაობდით, წიგნებს ვწერდით, გამოფენებს ვაწყობდით... ეს ჩემი სტიქიაა. მათთან ურთიერთობა, როგორც კულტურის ყოფილ მინისტრს, ახლა უფრო გამიადვილდება.

— კულტურის მინისტრად დანიშვნას თავიდანვე კონფლიქტოლოგიის საკითხებზე მუშაობა არ სჯობდა? საზოგადოების ნაწილი თქვენი მმართველობით თავიდანვე უკმაყოფილო იყო, მართვის სტილს არც ყოფილი თუ ამჟამინდელი პრემიერები გიწონებდნენ...

— არ ვიცი... დღევანდელი გადასახედიდან თითქოს ასე ჩანს. კონფლიქტოლოგია ყოველთვის იდგა ჩემი მთავარი საქმიანობის, მწერლობის შემდეგ. წლების განმავლობაში ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი ვიყავი, ახალგაზრდობაში მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილების რეფერენტი გახლდით... ასე რომ, ჩემთან კულტურაც ახლოს იყო. ჩემი მისამართით გაჟღერებულ კრიტიკასაც სხვაგვარად ვუყურებ — ხშირად კულტურის სამინისტროსთან სსიპ-ების წარმომადგენლები აწყობდნენ მიტინგებს, არადა, სამინისტრო საკითხში ვერ ჩაერეოდა და თავად უნდა მორიგებულიყვნენ; თან, თუ ერთ დღეს ადამიანთა ჯგუფი ტრანსფარანტებით კონკრეტული ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდა, მეორე დღეს სხვა ჯგუფი იგივე დირექტორის თანამდებობაზე დატოვებას გვთხოვდა... კულტურის სამინისტროს ბალანსზე 83 სსიპ-ია და, შესაბამისად, პრობლემაც უამრავი იყო. უახლოეს მომავალში მინისტრობის პერიოდსა და ჩემ შთაბეჭდილებებზე ახალ წიგნს დავწერ.

— მემუარების წერა დაიწყეთ?

— ვფიქრობ, წიგნი უფრო რომანის ჟანრში დაიწერება.

— თქვენს რომანში თუ მოხვდება საყდრისის საკითხი, ასევე ის, რომ თქვენი მმართველობის პერიოდში რუსული რომანსის საღამოები ფინანსდებოდა, სახელმწიფოსგან იგნორირებული ქართველი რეჟისორები კი თქვენს სამინისტროსთან შიმშილობდნენ?

— ვერ ვიტყვი, რომ მართვის პრობლემა მქონდა. როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება გადმოვიბარეთ, ზოგადად, მართვის სტილი რბილი იყო. მით უმეტეს, კულტურა რბილი ძალაა. მეც იმ ტიპის მმართველებს განვეკუთვნებოდი, რომლებიც თანამშრომლებს ადამიანურად ესაუბრებიან, დავალებას აძლევენ ისე, რომ თავადაც ეხმარებიან... მიმაჩნია, მართვის ეს ფორმა ბევრად ეფექტურია, თუმცა, უნდა ითქვას, წინა ხელისუფლების პირობებში სამინისტროში ამ რაოდენობის ადამიანი პრეტენზიებითა და მოთხოვნებით არ დადიოდა. ერთხელ ჩემმა თანაშემწემ მითხრა, ადრე დერეფნებში მდგომ წყლის აპარატებში წყალი ორი თვის განმავლობაში არ იხარჯებოდა, ახლა ერთ კვირაში იცლებაო... „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს მეტი თავისუფლება მისცა.

— კი მაგრამ, თქვენივე მოადგილესთან არ გქონდათ ურთიერთობის პრობლემა?

— დღეს ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მათ შორის, ყოფილ მოადგილეებსა და კულტურის ახალ მინისტრთანაც, სხვებსაც მოვუწოდებ, თანამდებობიდან წასვლა პრობლემა არ გახდეს. ადამიანები რაღაც პერიოდი ერთად ვართ, შემდეგ ვშორდებით... სამსახურიდან გათავისუფლება ის თემა არ არის, ტრაგედია შევქმნათ.

— თქვენი შემცვლელის საქმიანობით კმაყოფილი ხართ?

— ახალი მინისტრის შერჩევაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ, როცა ამ თანამდებობაზე მიშა გიორგაძე დანიშნეს, მივულოცე. ერთმანეთს შევხვდით, დიდხანს ვისაუბრეთ, ორწლიანი გამოცდილებაც გავუზიარე. ვფიქრობ, კარგი მინისტრი იქნება... პირველ რიგში, მემკვიდრეობას უნდა გავუფრთხილდეთ. მეც ასე მოვიქეცი, წინა მინისტრის მიერ დაწყებული პროექტები გავაანალიზე და გავაგრძელე, მაგალითად, ფრანკფურტის წიგნების ბაზრობა.

— სწორედ ფრანკფურტის წიგნების ბაზრობაზე თქვენი გამგზავრება გახდა მორიგი კრიტიკის საფუძველი — აღმოჩნდა, რომ მოადგილეებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებს დაუდევრად ხარჯავდით.

— ბევრი რამ ითქვა ჩემზე, მაგრამ ამაზე საუბარი არ ღირს... სხვათა შორის, მიშა გიორგაძემაც გააგრძელა ის პროექტები, რომლებიც მე დავაფინანსე, მათ შორის — პარიზში დავით კაკაბაძის გამოფენა. ამჯერად ახალი ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი. როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროში რეორგანიზაცია იგეგმება, რაც, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გამოიკვეთება.

— რამდენად რეალურია რეორგანიზაცია იმ პირობებში, როცა ახლადდანიშნულ მინისტრს თანამდებობიდან გათავისუფლებული მოადგილე სამსახურში მალევე აღადგენინეს?

— ამ თემაზე ვერ ვისაუბრებ.

— მინისტრის თანამდებობიდან თქვენი გათავისუფლების შემდეგ პოლიტიკური დღის წესრიგი მეტ-ნაკლებად შეიცვალა — პრეზიდენტი მთავრობის კონკურენტად გამოცხადდა, ბიძინა ივანიშვილი გააქტიურებას გეგმავს. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს არ შეაფასებთ?

— პოლიტიკაზე ვერ ვისაუბრებ, ახლა კონფლიქტის საკითხით ვარ დაკავებული. ზოგადად, ყველაზე დიდი პოლიტიკა კონფილქტების დარეგულირებაა — ადამიანებთან საუბარი აუცილებელია, თანაც ისე, რომ ყველა თანასწორ პირობებში იმყოფებოდეს. ამის შემდეგ საღი დასკვნების გაკეთებაც მარტივია. კონფლიქტების დარეგულირება ისეთი პოლიტიკაა, რომელიც არ ხმაურობს, არ ყვირის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს შედეგს აღწევს.

m^2-ის ახალი პროდუქტების ხაზი „ოპტიმა“ და პირველი პროექტი „ოპტიმა ისანი“ — ბინები 29 000 დოლარიდან

m^2-მა თბილისში, ახალი კონცეფციის სამშენებლო პროექტის „ოპტიმა ისნის“ დაწყების შესახებ განაცხადა. საცხოვრებელი კომპლექსი „ოპტიმა ისანი“ კომპანია m^2-ის ახალ სამშენებლო ხაზს „ოპტიმას“ ეკუთვნის, რომლის ფარგლებშიც კომპანია უფრო მეტი ოჯახისთვის ხელმისაწვდომ და მომხმარებელზე მორგებულ სამშენებლო პროექტებს განახორციელებს, დედაქალაქის სხვადასხვა უბანში. საცხოვრებელ კომპლექსში „ოპტიმა ისანი“, ოპტიმალური დაგეგმარების ხარჯზე, შესაძლებელია სასურველი ფართის ბინის შეძენა ნაკლებ ფასად. პარალელურად, გარემონტებული ბინის შეძენით ზოგავთ დროს, ფულსა და ენერგიას. კომპლექსში „ოპტიმა ისანი“ 2-ოთახიანი გარემონტებული ბინის შეძენა 29 0000 აშშ დოლარიდანაა შესაძლებელი. „ოპტიმა ისნის“ უპირატესობებსა და სასურველი ბინის შეძენის პირობებზე, „ვერსიას“ m^2-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდილაძე ესაუბრება.

— ბატონო ირაკლი, როგორ მოახერხეთ, რომ მომხმარებელს ბინას საკმაოდ დაბალ ფასად სთავაზობთ?

— ეს, შეიძლება ითქვას, m^2-ის „ნოუჰაუა“. საკმაოდ დიდი ყურადღება და დრო დავუთმეთ იმის შესწავლას, რა სივრცე, როგორი ოთახი სჭირდება ადამიანს, რომ თავი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს. ოპტიმალური გათვლების შედეგად, შევძელით, მომხმარებელს, სასურველი ფართის ბინები, ოპტიმალურ ფასად შევთავაზოთ. სწორედ ამიტომ ჰქვია ამ პროექტს „ოპტიმა“. „ოპტიმა ისანი“ კი, სადაც პროექტის ფარგლებში, მშენებლობა უკვე დავიწყეთ, ადგილმდებარეობის თვალსაზრისითაც გვაძლევს ბინების ოპტიმალურ ფასად გაყიდვის საშუალებას — მოსკოვის გამზირზე მიწის ფასი შედარებით დაბალია, ვიდრე ცენტრალურ უბნებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქისგული არ გახლავთ, „ოპტიმა ისანი“ საკმაოდ კარგ ადგილას, მოსკოვის გამზირზე, 14ა-ში მდებარეობს — პოლიციის ახალი შენობის გვერდით, სამგორისა და ვარკეთილის მეტროსადგურებთან, კახეთის გზატკეცილთან, ნავთლუღის ავტოსადგურთან ახლოს. აქ საცობებისგან თავისუფალი მოძრაობა, შესაბამისად უკეთესი ეკოლოგიური გარემოა. მიწის, დაახლოებით 5 ათას კვ/მეტრ ფართობზე ორ დამოუკიდებელ კორპუსს ვაშენებთ, სადაც, ჯამში 238 ბინა იქნება.

— ბინები რა ფართობის იქნება და თქვენი სხვა პროექტების მსგავსად გაარემონტებთ თუ არა?

— „ოპტიმა ისანში“ ბინების ფართობი 38 კვადრატულიდან იწყება. ამ პროექტსაც, ყველა ის კომფორტი ექნება, რასაც ზოგადად, m^2 მომხმარებელს სთავაზობს და, რა თქმა უნდა, ბინა სრულად გარემონტებული იქნება. პარალელურად, ბინაში დაგხვდებათ სამზარეულო, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით. ამ პროექტსაც ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით ვაშენებთ, რაც მობინადრეებს, კომუნალური გადასახადების 23%-დე დაზოგვის საშუალებას მისცემს. „ოპტიმა ისანი“ აღჭურვილი იქნება საჭირო ინფრასტრუქტურით: ავტოსადგომი, სათამაშო მოედანი და რეკრეაციული ზონა. დამატებითი კომფორტისთვის, საცხოვრებელი კომპლექსი უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემითა და მოვლის მომსახურებით: 24-საათიანი დაცვა, სადარბაზოებისა და ლიფტების დასუფთავება, გამწვანების მოვლა. „ოპტიმა ისანი“ 2016 წლის ივლისში დასრულდება. მშენებლობა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ და რისკები გადაზღვეულია ACE Europian roup-ში.

— „ოპტიმა ისანში“ ბინები რა ფასად და რა პირობებით შეგვიძლია შევიძინოთ?

— „ოპტიმა ისანში“ ბინების ფასი 29 ათასი დოლარიდან იწყება. მომხმარებელს ბინის შეძენის რამდენიმე ვარიანტს ვთავაზობთ: ისარგებლოს, „საქართველოს ბანკის“ უფრო გრძელვადიანი (20 წელი) იპოთეკური სესხით, რაც საგრძნობლად შეამცირებს ყოველთვიურ შენატანს. მაგალითად: 2-ოთახიანი (38 კვ/მ) ბინის ფასი 29 000 დოლარიდან იწყება. იპოთეკური სესხის აღების შემთხვევაში, ამ ბინას, თვეში მხოლოდ 213 დოლარად შეიძენთ. 3-ოთახიანი (58 კვ/მ), 43 405 დოლარიანი ბინის შესაძენად, სესხის აღების შემთხვევაში, თვეში მხოლოდ 329 დოლარს გადაიხდით; 4-ოთახიან (94 კვ/მ), 65-66 ათასდოლარიან ბინას კი, თვეში მხოლოდ 495 დოლარად იყიდით.

მეორე ვარიანტია, ბინის შეძენა შიდა, უპროცენტო განვადებით. ამ შემთხვევაში, მომხმარებლის მინიმალური თანამონაწილეობა, 3 ან 4-ოთახიანი ბინების შესაძენად, შესაბამისად, 25 და 30%-ია. განვადების ვადა, მშენებლობის ბოლომდე, 2016 წლის 1 ივლისამდეა. უზრუნველყოფა კი, ორივე შემთხვევაში, მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონებაა.

— „ოპტიმა ისანში“ ბინების შეძენის მსურველები უკვე გამოჩნდნენ და ეს პროექტი, ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, თქვენივე სხვა პროექტებს ხომ არ გაუწევს კონკურენციას?

— ოპტიმალურ ფასად ბინების შეძენის მსურველთა სია, ჯერ კიდევ თვეების წინ, მაშინ გაკეთდა, როცა ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია გავახმოვანეთ. მსურველთა რიცხვი სწრაფად იზრდება. რაც შეეხება კონკურენციას. ჩვენი ყველა პროდუქტი, გარკვეულ სეგმენტზეა გათვლილი და ერთმანეთს კონკურენციას არ უწევს. მაგალითად, პრემიუმკლასის ბინები მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვისაა, გვაქვს ასევე საშუალოშემოსავლიან ოჯახებზე გათვლილი პროექტები და ახლა უკვე ახალი სამშენებლო ხაზი „ოპტიმა“ — პროექტები მათთვის, ვისი ანაზღაურებაც საშუალოზე ოდნავ დაბალია. ასეთ მომხმარებელთა რიცხვი ჩვენ ქვეყანაში საკმაოდ დიდია და, მოხარული ვარ, რომ m^2 მათ ბინის შეძენის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. „ოპტიმალური“ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას, კომპანია m^2, მომავალში, თბილისის სხვა უბნებშიც გააგრძელებს.

ნინო ლურსმანაშვილი

ჯვრის მამის მონასტრის მონაზონი კელიის დატოვებას გეგმავს

რატომ არ მიუყვანეს დედა თამარს ექიმი დროულად და როგორ უნდა მოიქცნენ ის ადამიანები, ვისაც რეცეპტის გამოსაწერად, ექიმთან მისვლა არ შეუძლია

რუსუდან შელია
557-100-768

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეცეპტის უქონლობა ფატალური შედეგით დასრულდა ყვარელში — 55 წლის მამაკაცი, 30-თეთრიანი წამლის დაგვიანების გამო გარდაიცვალა, თუმცა აღნიშნულ ფაქტს ჯანდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს. როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი თამარ ბოდოკია განმარტავს, გარდაცვლილი მამაკაცის ოჯახი აფთიაქში ვიზიტის ფაქტს არ ადასტურებს და ინფორმაცია არასწორად გავრცელდა.

კანონის შეცვლასა და საპატრიარქოს საავადმყოფოს დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან ვეფხია ოდიშარიას გათავისუფლებას ითხოვს ჯვრის მამის მონასტრის მონაზონი დედა თამარი, რომელიც ოთხი წელია ლოგინადაა ჩავარდნილი და ექიმთან მისვლას ვერ ახერხებს. ვეფხია ოდიშარიამ მისი მდგომარეობა არ გაითვალისწინა და რეცეპტის გამოწერაზე უარი განუცხადა. დედა თამარმა ამ მოთხოვნით შიმშილობაც დაიწყო, მაგრამ ექიმებმა პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობის გამო კატეგორიულად აუკრძალეს. ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ პირებმა, რომლებსაც ექიმთან მისვლა არ შეუძლიათ, უნდა ისარგებლონ ცხელი ხაზით — 15-05, სადაც სოციალური აგენტი მოემსახურება. თავად დედა თამარი ამტკიცებს, რომ ფეხებზე სისხლჩაქცევა დილის 6 საათზე დაუფიქსირდა, ოდიშარიამ კი ექიმი მხოლოდ საღამოს 9 საათზე მიუყვანა. მონაზონი, მონასტერში 12-წლიანი ცხოვრების შემდეგ, კელიის დატოვებაზე ფიქრობს. ვეფხია ოდიშარია კი, მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს...

„ვერსია“ დედა თამართან ინტერვიუს გთავაზობთ.

— რამდენიმე წლის წინ ავარიაში მოვყევი, ოთხი წელია ველარ დავდივარ, ყოველდღე უამრავ წამალს ვსვამ. რამდენიმე დღის წინ, დილის ექვს საათზე, ფეხებზე სისხლი ჩამექცა და მდგომარეობა უფრო დამიმძიმდა. ამიტომ საპატრიარქოს საავადმყოფოში ვეფხია ოდიშარიას დავურეკე, ვთხოვე, ვერ დავდივარ, ძმას გამოვგზავნი და რეცეპტი მიეცით-მეთქი. ჩემი ანკეტა საავადმყოფოშია, სადაც მკურნალობის კურსს გავდიოდი. მიპასუხა, კანონს არ დავარღვევ, მობრძანდით საავადმყოფოში, ფულს არ გადაგახდევინებთო. ისიც მითხრა, ჩემთან ერთად მთავარი ექიმიც იმყოფებაო. თუ ასეთი კანონმორჩილია, ჩემთვის გამონაკლისი რატომ დაუშვა? — ექიმთან ვიზიტისთვის ფულს ხომ ყველა იხდის. უბრალოდ, სასაცილოდ ამიგდო. ჩემზე მეტად ვის უნდა, რომ გავიარო, მაგრამ... იმ დღეს იოაკიმე და ანას ხსენების დღე იყო. ოდიშარიამ ექიმი საღამოს 9 საათზე მომიყვანა და დღესაც ამას მამადლის.

— თუ რეცეპტის გამოსაწერად თქვენთან ექიმის მოყვანა თავიდანვე შესაძლებელი იყო, რატომ დაჭირდა ამხელა დრო?

— ეს გადაწყვეტილება ოდიშარიამ მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ჯანდაცვის სამინისტრო შევაწუხეთ. როცა დახმარებისთვის სამინისტროში დავრეკე, ადამიანურად მომექცნენ. არავის ეგონოს, რამეზე პრეტენზია მაქვს, უბრალოდ, გაოგნებული ვარ. ერთი შვილი მყავდა, ისიც მომიკლეს. ამის შემდეგ რაზე უნდა მქონდეს პრეტენზია? ოდიშარია დღესაც მპასუხობს, ღმერთთანაც და შენთანაც მართალი ვარ, კანონი არ დავარღვიეო. ადამიანი უნდა მოკვდეს, რომ ვიღაცას ერთგულება დაუმტკიცოს და სკამი მიიღოს?! რომელი უფრო დიდი კანონია, ღმერთის თუ ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანებისა, რომლებიც კანონებს ერთმანეთის ამოსაწყვეტად თხაპნიან. სოციალურ ქსელში ვიღაცას კომენტარი დაუწერია, კანონი ყველასთვის ერთიაო. დიახ, ნამდვილად ასეა. ჩვენი ბერული ცხოვრება სულაც არ ნიშნავს, რომ, თუ რამეს დავაშავებთ, ხელშეუხებლები ვართ, მაგრამ ვერ ვხვდები, დანაშაული სად ჩავიდინე. იქნებ ხალხმა მასწავლოს, როგორ უნდა მიხვიდე ექიმთან, როცა ფეხზე დადგომა არ შეგიძლია? თუ დანაშაული ჩავიდინე, სასჯელისთვისაც მზად ვარ. მრცხვენია და საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი ჩემი საშინელი ფეხების ფოტოების გამოქვეყნებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, უნდა ვამტკიცო, რომ ნამდვილად ინვალიდი ვარ. თავს არ ვიმართლებ. უბრალოდ, მინდა, ხალხმა იცოდეს, რომ ტყუილს არ ვამბობ, როგორც ეს სოციალურ ქსელში ვიღაცას დაუწერია. ისიც უკითხავთ, ნამდვილად დედაო ვარ თუ არა. სამოსელი კი არა, უფალი წყვეტს, ვინაა მონაზონი. ოდიშარიას კი, საკუთარ ქმედებას რომ მიმხვდარიყო, გულში ჩავიკრავდი და გავჩუმდებოდი.



მრცხვენია და საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი ჩემი საშინელი ფეხების ფოტოების გამოქვეყნებისთვის, მაგრამ, ჩანს, უნდა ვამტკიცო, რომ ნამდვილად ინვალიდი ვარ

— ალბათ, გაჩუმება გაუმართლებელია, მით უმეტეს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რეცეპტის უქონლობის გამო ადამიანი გარდაიცვალა.

— მეც ისე ცუდად ვიყავი, შეიძლება, იგივე დამმართნოდა. მინისტრ დავით სერგეენკოს მივმართავ: ამ უაზრო კანონებს ადამიანებისთვის წერთ თუ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობთ? ჩემნაირმა ინვალიდმა, რომელსაც სიარული არ შეუძლია და არც ისეთი პატრონი ჰყავს, ექიმთან ხელში აყვანილი მიმიყვანონ, რა ქნას? ასე უნდა გაგვაწამონ გაზულუქებულმა ჩინოვნიკებმა? იქნებ ისიც გააკონტროლოს სამინისტრომ, რომ საავადმყოფოებში ოდიშარიას მსგავსი უგულო პირები თანამდებობაზე არ იყვნენ. როცა ადამიანი ვერ დადის, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. თითქოს ჰგონია, რაღაც დააშავა და ლოგინად ამის გამო ჩავარდა. მის დედას რომ ასე მოექცეოდნენ, მოეწონებოდა? არ ვამბობ, რომ, რადგან მონაზონი ვარ, ამის გამო ვინმე განსაკუთრებულად უნდა მომექცეს, მაგრამ არც ფეხებით უნდა შემდგნენ. რა ვქნათ ჩვენ, ინვალიდებმა? მივმართავ სერგეენკოს, ლოგინადჩავარდნილი ადამიანებისთვის სხვა კანონი შეიმუშაონ. დაიღალა ხალხი ამდენი წამებითა და ტანჯვით. თუ, მარტო მაშინ სჭირდებათ ადამიანები, როცა თავად სკამებზე წამოსხდომა სურთ? თუ უნდათ სული ამომხადონ, ეს დროზე მაინც გააკეთონ, რადგან ძალიან დავიღალე.

— 3 დღე შიმშილობდით, საპატრიარქოდან ვინმე გამოგეხმაურათ?

— საპატრიარქოზე არაფერს ვიტყვი. ამაზე პასუხი უწმინდესსაც არავინ მოსთხოვოს, მისთვის ჩემი ტკივილის შესახებ არასოდეს მითქვამს. ჩვენი უწმინდესი შვილივით მიყვარს. არავის მისცეთ საშუალება, გაგვილანძღოს, იგი არაჩვეულებრივი ადამიანია. მას ყველაფერს რომ ეუბნებოდნენ, ამდენი იმედგაცრუება არ იქნებოდა. ამდენ ხანსაც მხოლოდ უწმინდესის სიყვარულის გამო ვიყავი გაჩუმებული. 12 წელია კელიაში ვცხოვრობ. ეკლესიაში შემოსვლისთანავე ნესტში შემომაგდეს და სველ ლოგინში მეძინა. ჩემი მძიმე დაავადებებიც ამის შედეგია. ჩუმად ვიყავი და დედაეკლესიას ვუფრთხილდებოდი. ეკლესიაში არიან ადამიანები, რომლებსაც სხვების წამება შეუძლიათ. ვიხვეწებოდი, მიშველეთ, ვერ გავივლი-მეთქი, მაგრამ ეს თითქოს აწყობდათ კიდეც. ზაფხულში, პაპანაქებაში, ჩემი შვილის საფლავზე ავედი. 8 დღე ვიჯექი საფლავის ქვასთან. იცოდნენ, სად ვიყავი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არავის ვუკითხივარ. გონებადაკარგული წამომიყვანეს იქიდან.

— მსგავს სიმკაცრეს მონაზვნის ცხოვრება ითვალისწინებს, სასულიერო პირებისგან თანაგრძნობა რატომ ვერ დაიმსახურეთ?

— ეროვნული მთავრობის გვერდით ვიდექი, ზვიად გამსახურდიას მომხრე ვიყავი და არ მოსწონდათ, როცა სიმართლეს ვამბობდი. ჩემგან მონობას ითხოვენ და არა მორჩილებას. არადა, თავად უფალმა თქვა, შენ ხარ შენი თავის უფალი, რადგან მე ჩემ ხატად და მსგავსად შეგქმენიო. მონაზვნისგან შეკამათება, სიმართლის თქმა არ მოსწონთ, ყველაფერზე თვალის დახუჭვა კი არ შემიძლია. უწმინდესი ძალიან მიყვარს, ეს აქ კარგად იციან და სწორედ ამ სიყვარულს არ მპატიობენ, მებრძვიან.

— რატომ არ ამხელთ, ვინ გებრძვით ან რატომ გახდა ეკლესიაში პატრიარქის სიყვარული დასჯადი?

— ეს სხვა საკითხია და უმჯობესია, ახლა არ ვისაუბროთ. თუ უფლის სახლში სიყვარული დაიკარგა, სხვაგან სად ვეძებო? თანაგრძნობა დაიკარგა. შესაძლოა მაქსიმალისტი ვარ, მაგრამ ერთ-ერთ ქადაგებაში უწმინდესმაც ბრძანა, ადამიანი ადამიანისთვის მგელი გახდაო. ჩანს, ასეა, მაგრამ ამის დაჯერება მიჭირს. ეკლესიაშიც ადამიანები ვართ. ეს კაციც ხომ მგელივით მომექცა? ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა მიჭირს. იქნებ ჩემი გადაწყვეტილებით, სხვები მაინც გადავარჩინო.

— მონაზვნობაზე უარის თქმას გეგმავთ?

— წასასვლელი არსად მაქვს, თორემ კელიას დღესვე დავტოვებდი. ღმერთს არ გავურბივარ... უფალი, აქ რომ მოვედი, მაშინ კი არ შემყვარებია, ეკლესიაში ღმერთის სიყვარულმა მომიყვანა, მაგრამ ერში სიმართლისთვის შვილი მომიკლეს, ბერში სიმართლისათვის მე მკლავენ... მოსახლეობას მივმართავ: ერთმანეთს გაუფრთხილდით, წუთისოფელი ისედაც შემოკლდა, სიკვდილი გაახალგაზრდავდა. სიტყვით მაინც ნუ მოუკლავთ ერთმანეთს გულს, რადგან პირველად იყო სიტყვა და სიტყვა არის ღმერთი!

ვერსიანიუსი

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მაია პლისეცკაიას შეხვდა

„აქ მოვდივარ, როგორც ტაძარში“, — ეს განცხადება რუსმა ბალერინა მაია პლისეცკაიამ საქართველოს საპატრიარქოში გააკეთა, სადაც კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს შეხვდა.

საპატრიარქოში ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძეც იმყოფებოდა.

შეხვედრის დასაწყისში პატრიარქმა მადლობა გადაუხადა მაია პლისეცკაიას სტუმრობისთვის და აღნიშნა, რომ „24 სექტემბერს ჩატარებული კონცერტი ჩვენი სულიერი სიახლოვის გამოვლინებაა“.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ საქართველო მდიდარია მუსიკალური ნაწარმოებებით, აქ სიყვარულით ხვდებიან მაია პლისეცკაიას.

თავის მხრივ მაია პლისეცკაიამ აღნიშნა, რომ აქ ისე გრძნობს თავს, „როგორც ტაძარში“. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ კიდევ ერთხელ იმყოფება საქართველოში და ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა პატრიარქს.

კათალიკოს-პატრიარქმა ჰკითხა მაია პლისეცკაიას, ჩამოუტანა თუ არა საჩუქრად ფოტოალბომი, რაზეც მაია პლისეცკაიამ სინანული გამოთქვა, რომ თან არ ჰქონდა. რუსი ბალერინა დაპირდა უწმინდესს, რომ ალბომს მოსკოვში ჩასვლისთანავე გამოუგზავნის.

„ინტერპრესნიუსი“

ქვემო საზანოს სკოლაში, სავარაუდოდ, მენინგიტის სამი შემთხვევა გამოვლინდა

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს სკოლაში, სავარაუდოდ, მენინგიტის სამი შემთხვევა გამოვლინდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ ქვემო საზანოში სამი ბავშვი ვირუსით დაინფიცირდა. მათივე თქმით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს სავარაუდოდ, მენინგიტის ინფექციაა, თუმცა აღნიშნული ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დაადასტუროს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერებული არ არის და სწავლის შეწყვეტის რეკომენდაციით, მათ ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა მიმართოს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციითვე, მათმა უწყებამ საქართველოს მასშტაბით ყველა, 2085 საჯარო სკოლას ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გადაუგზავნა.

„ინტერპრესნიუსი“

დაუგეგმავი ძარცვა და გზატკეცილიდან კარცერამდე

როგორ დაასახიჩრეს მოქიდავე კახა პოლიციელებმა

პატიმარი №0578

„კარგი ბიჭი გყავს, გელა, კარგი, დიდი მომავალი აქვს ამ ბიჭს“, — ეუბნებოდნენ გელას მეზობლები, რომლებმაც ნახეს, როგორ დაამარცხა ერთიმეორის მიყოლებით 15 წლის კახამ თავისზე უფროსები ჭიდაობაში და პირველი ადგილიც მოიპოვა. გელამ თავადაც იცოდა, რომ მის ბიჭს დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ ისიც იცოდა, სავარჯიშოდ და პირობების შესაქმნელად სახლში არაფერი ებადა და მარტო ნიჭით მისი შვილი შორს ვერ წავიდოდა...

შეჯიბრის დასრულების შემდეგ კახაც გახარებული იყო და ორგანიზატორების მიერ ნაჩუქარ ცარიელ ვიდეოკასეტას ხელში ატრიალებდა, როცა მასთან მეზობელი, ლაშა მივიდა.

„რად გინდა ეგ ცარიელი კასეტა, ვიდეომაგნიტოფონი არ გაქვს სახლში. არადა, ამაღამ რომ წამომყვე, გაჩუქებდი“, — უთხრა კახას.

„სად უნდა წამოგყვე? წამოვალ“, — დაუფიქრებლად უპასუხა კახამ. იმ ღამეს, ლაშას მეგობრებთან ერთად, ვარკეთილში, ერთ-ერთი კორპუსის ეზოში იდგა და მეოთხე სართულს ქვევიდან უყურებდა.

„ანტენის კაბელს აჰყევი, გადაძვერი, კარი გაგვიღე და ვიდეომაგნიტოფონი შენია“, — უთხრა ლაშამ. კახა ათ წუთში ბინაში იყო. ლაშა და მისი მეგობრები იქაურობას ყირაზე აყენებდნენ, მაგრამ კახას არაფერი აინტერესებდა — ხელში ნივთს ატრიალებდა. საბჭოთა წარმოების იყო, მაგრამ მაინც ვიდეო ერქვა...

დილით მამამ გააღვიძა, თვალებში ჯიქურ შეხედა და ჰკითხა — ეს რა მოათრიე სახლში? გუშინ სად იყავი?!

კახა ყველაფერს მოუყვა... მამამ სახლიდან გააგდო. სულ ერთი საათი ინერვიულა კახამ, რადგან მხსნელად ისევ ლაშა მოევლინა და თავისთან წაიყვანა. ღამე არ გავიდოდა, ვინმეს ბინაში არ შემძვრალიყო, ჯანი მოსდევდა და კედლებზე კატასავით დაცოცავდა, თუმცა...

საბურთალოს ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში შესული კახა კარისკენ დაიძრა, რათა ლაშასთვის და მისი ამფსონებისთვის გაეღო, მაგრამ მოულოდნელად, ოთახიდან საუბრის ხმა შემოესმა. დაიბნა, ოთახში შეიხედა და გაშეშდა — სამი კაცი ქეიფობდა. კახა კარამდე ფეხაკრეფით მივიდა, საკეტი გადაატრიალა და სანამ მეგობრებს ეტყოდა, მასპინძლები სახლში არიანო, ბინაში შეცვივდნენ. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია: მასპინძლები პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, იარაღი აღმართეს, გაისროლეს... ლაშა ადგილზე მოკვდა, კახა დაიჭრა, მაგრამ მანამდე მოასწრო და ერთ-ერთ პოლიციელს თავზე შამპანურის ბოთლი დააფშვნა...

სასამართლოზე გაირკვა, რომ იმ პოლიციელს ნერვი დაუზიანდა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. კახას, როგორც მცირეწლოვანს, რვა წელი აკმარეს. სასამართლოზე მისი ოჯახის წევრებიდან არავინ მისულა. გული დაწყდა. უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო: „მალალეტკების“ ზონაზე კახა მაყურებელი გახდა, ვარჯიში არ შეწყვიტა. საკუთარ ასაკთან შედარებით, აღნაგობითაც და ჯანითაც აშკარად გამოირჩეოდა. სრულწლოვანობის შემდეგ, კახას დიდების ზონაზე მოუწია გადასვლამ — რუსთავის 17 ზონის პატიმარი გახდა.

ზონაზე მიყვანიდან მეორე ღამეს კახა საკნიდან გაიყვანეს. კარცერისკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე ლანდი შენიშნა, მაგრამ ცუდი არაფერი უფიქრია. კარცერში შეაგდეს. დაახლოებით ათ წუთში კარი ისევ გაიღო. მის წინ ეტლში მჯდომი პოლიციელი და იმ ბინის კიდევ ორი მასპინძელი იდგა. მალე ნიღბიანებიც გამოჩნდნენ, კახას თავზე ტომარა ჩამოაცვეს, ავტომობილში ჩასვეს და ზონიდან გაიყვანეს. ერთი კი თქვა, არ გაქვთ ამის უფლებაო, მაგრამ... გაჩუმდა და ბედს მიენდო...

ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ კახას ტომარა მოხსნეს. ტყეში იყვნენ. ხელებით ხეზე ჩამოკიდეს, ფეხებზე 32-კილოიანი გირები დაკიდეს და ასე გაჭიმულს უყურებდნენ დაახლოებით ათი წუთი. ერთ-ერთმა პოლიციელმა საბარგულიდან რკინის კეტი ამოიღო და კახასთან მივიდა, შემდეგ ეტლში მჯდარ მეგობარს გახედა და მთელი ძალით კახას მუხლსშიგნიდან კეტი შემოარტყა. ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა. სანამ რაიმეს გააზრებას მოასწრებდა, იგივე კეტი ჯერ მეორე მუხლში მოხვდა, შემდეგ ხერხემალში და გრძნობაც დაკარგა...

დილით მაყურებლებმა ადმინისტრაციას კახას ამბავი ჰკითხეს. რომ გაიგეს კარცერშიაო, დამშვიდდნენ. ნაშუადღევს საჭმლის დამტარებელი, „ბალანდიორი“ „რობოტა“ მაყურებლების კამერაში შეიძურწა და ჩუმად თქვა — კახა კვდება...

მთელი ზონა ფეხზე დადგა და ბუნტის ასაცილებლად, ზონის უფროსმა ლაშა ბრეგვაძემ კახა ერთ საათში, ციხის საავადმყოფოში გაუშვა. ორი კვირის შემდეგ დაბრუნებული პატიმარი ყავარჯნებზე იდგა.

„ფეხები გამიჭიმეს და რკინის კეტი ისე მომარტყეს. ექიმმა მითხრა, რომ მუხლის სახსარი ბუდიდანაა ამოვარდნილი და ურთულესი ოპერაცია მჭირდება. ხერხემალიც დაზიანებული მაქვს, მალაა გაბზარული. ეგეც საოპერაციოა. მოკლედ, თუ მაქსიმუმ ექვს თვეში ოპერაციას არ გავიკეთებ, ეტლში ჩაჯდომა მომიწევს“, — ჩუმად თქვა კახამ. პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს — მას „სროკის“ ბოლომდე 3 წელი ჰქონდა დარჩენილი და 6 თვეში გარეთ არავინ გაუშვებდა.

ერთი წლის შემდეგ კახას გადაადგილება თითქმის აღარ შეეძლო. მუხლებთან ძვლოვანი გამონაზარდები გამოუვიდა. დაჯდომა-ადგომისას საშინელ ტკივილს განიცდიდა. ერთ დღეს ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს და გამოუცხადეს, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო. გაუხარდა. როგორც კი მარტო დარჩნენ, ექიმმა ცრემლნარევი ხმით უთხრა: „უარი თქვი, შვილო, ოპერაციაზე, მითხრეს, რომ მაგიდაზე უნდა დაგტოვო. თუ ოპერაციას დათანხმდები, ვერ გიშველი“...

კახა ჩაფიქრდა, შემდეგ ლანცეტს დასწვდა და ვენებზე დაისვა. მაჯებშეხვეული პატიმარი ზონაზე იმავე დღეს დააბრუნეს...

ციხიდან კახა ყავარჯნებით და ზონის მაყურებლის სტატუსით გავიდა. პირველი, ვინც თავისუფლებაზე გასულმა დაინახა, მოტეხილი და მობერებული მამა იყო. მეორე დღეს ოჯახმა სახლი გაყიდა და კახა საოპერაციოდ გერმანიაში გაამგზავრა. იქიდან ბიჭი ყავარჯნების გარეშე დაბრუნდა, სახლში ცოტა ხანს გაჩერდა და გეზი რუსეთისკენ აიღო. რუსეთიდან დაბრუნებულმა მამას ისევ ის სახლი უყიდა, თავად ცოლი მოიყვანა და საცხოვრებლად ბელორუსში გადაბარგდა. ეს ისტორია კი იმიტომ გაგვახსენდა, რომ ზუსტად ორი კვირის წინ, კახას ბელორუსში პირველი შვილი შეეძინა, რომელსაც თავისი სახელი დაარქვა.

რუსეთში მიკაილ კადიევის ექსტრადირება იგეგმება?!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რატომ არ ანიჭებს საქართველოს ხელისუფლება ლტოლვილის სტატუსს დაღესტნელ უფლებადამცველ აქტივისტს

მიკაილ კადიევისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით ლტოლვილთა სამინისტროსთან აქცია გაიმართა. დაღესტნელი უფლებადამცველის ახლობლებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდეს, კადიევის საქმე გადაიხედოს და რუსეთში მისი ექსტრადირება არ მოხდეს.

მიკაილ კადიევმა, რომელსაც რუსეთის გენერალური პროკურატურა ინტერპოლით ეძებს და, რომელიც საქართველოში, სასჯელაღსრულების 8 დაწესებულებაში იხდის 2-წლიან სასჯელს, არასამთავრობო უფლებადამცველ ორგანიზაციებს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა: **„რუსეთის ხელისუფლების მხრიდან განვიცდი პოლიტიკურ დევნას. ამ მიზეზით დავტოვე რუსეთი და 2010 წლიდან ვცხოვრობდი საქართველოში. სამწუხაროდ, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლებასთან აქვთ საიდუმლო კავშირები, გადაწყვიტეს ჩემი დაკავება და ფარულად გადაცემა რუსეთისთვის.** სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა 2012 წლის დეკემბერში ბათუმში დამაკავეს და, ფაქტობრივად, გამიტაცეს დაღესტნელ ლტოლვილ, მაგომედ მაგომედოვთან ერთად. გაქცევა მოვახერხე, მაგომედოვი კი, რომელიც უკვალოდ გაქრა, მოგვიანებით, „წითელმა ჯვარმა“, რუსეთის ერთ-ერთ ციხეში აღმოაჩინა. 2013 წლის 13 ივნისს, შუაღამისას, ჩემს ნაქირავები ბინაში დამაკავეს. ჩხრეკისას ჩამიდეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, 8 ცალი ვაზნა და ცელოფანში შეკრული ფხვნილი, რომელიც თურმე 2253,83 გრამ ჰექსოგენის შემცველ ფეთქებად ნივთიერებას შეიცავდა. ჩემთან ერთად დააკავეს ჩემი სტუმარი, ბიძაშვილი რიზვან ომაროვიც. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „განზრახული გვქონდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტერორისტული აქტების მოწყობა“, მაგრამ ბრალი, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით წაგვიყენეს. სასამართლოს მსვლელობისას წარმოჩინდა, რომ ხსენებული ნივთები არ მქონია, თბილისის საქალაქო სასამართლომ მე და ჩემს ბიძაშვილს 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მოგვისაჯა. ეს გადაწყვეტილება შემდგომში, ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ. განაჩენი უზენაეს სასამართლოშიც გასაჩივრებული გვაქვს... რუსეთის ხელისუფლება ითხოვს ჩემს ექსტრადირებას. ცნობილია, ასეთ შემთხვევაში, რა ბედი ელის მკვლელობაში უსაფუძვლოდ ბრალდებულ ჩრდილოეთ კავკასიის ნებისმიერ მოქალაქეს. საქართველოს ხელისუფლების მოქმედების მრავალი ნიშანი მიუთითებს, რომ აპირებენ, რუსეთს გადამცენ: ჩემი ადვოკატის, გელა ნიკოლაიშვილის მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, ბათუმიდან ჩემი გატაცების ფაქტი არ გამოიძიეს; საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, 2014 წლის 16 იანვარს, ოფიციალური უარი მითხრა ლტოლვილის სტატუსის მონიჭებაზე. ერთ-ერთ მოტივად ის დაასახელეს, რომ რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე საქართველოს შესაბამისი უწყებისადმი მოწერილ წერილში პირობას დებს, ექსტრადიციის შემთხვევაში არ ვაწამებთ და ღირსებას არ შევულახავთო. უარი ადვოკატმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც სარჩელი არ დააკმაყოფილა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ სააპელაციოში, სადაც განხილვა 2014 წლის 8 ოქტომბერს დაიწყება.

რუსეთში ექსტრადირება, ჩემი გარდაუვალი წამებისა და სავარაუდო მკვლელობის ტოლფასია. გთხოვთ გამოიყენოთ ყველა საშუალება და გავლენა, დამეხმაროთ სამართლიანობის მიღწევაში, რათა ეს არ მოხდეს. რუსეთისთვის ჩემი გადაცემა, არა მხოლოდ ჩემი პიროვნების უპირობო **გაწირვა, არამედ საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ სამარცხვინო ლაქა იქნება“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** აცხადებს, რომ, რადგან საქართველოს კანონი ხელისუფლებას უკრძალავს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის ექსტრადირებას სხვა ქვეყანაში, გამოსავალი კადიევისთვის სტატუსის მინიჭებაა: **„რუსეთი ამტკიცებს, თითქოს კადიევი 2009 წლის სექტემბერში, მოსკოვში მომხდარ მკვლელობაში მონაწილეობდა. არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომ ამ დღეს იგი დაღესტანში, სამსახურში იმყოფებოდა, მეორე დღეს დაბადების დღე ჰქონდა და სახლში გახლდათ. კადიევი ცნობილი უფლებადამცველი და აქტივისტია. იგი დაღესტანში რუსული ჯარების განუკითხაობის შესახებ საუბრობდა, რის გამოც არაერთხელ გაიტაცეს და აწამეს. იყო მკვლელობის მოწმე, რომელშიც ერთ-ერთი დაღესტნელი მაღალჩინოსანი მონაწილეობდა. ამაზე ჩვენება მისცა. გაიტაცეს, თავზე ცელოფანი ჩამოაფარეს, აწამებდნენ, რათა ამ ჩვენებაზე უარი ეთქვა, მაგრამ ასე არ მოიქცა. საბოლოოდ, იძულებული გახდა, რუსეთი დაეტოვებინა. 3 წელი საქართველოში ისე იცხოვრა, არავინ შეხებია. როცა თურქეთში გადასვლა დააპირა, დააკავეს. გაქცევა მოახერხა, 4 ტყვია ესროლეს, მაგრამ ღამე იყო და ააცილეს. ამის შემდეგ, თბილისში ცხოვრობდა, გარეთ არ გამოდიოდა. მაინც მიადგნენ და დააკავეს. იარაღი ჩაუდეს. თავისუფლების აღკვეთის ვადა 2015 წლის 3 ივნისს გასდის. სანამ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურებს ვაწარმოებთ, ექსტრადირებას ვერ დაიწყებენ. მერე კი ექსტრადიციის 9-თვიანი პროცედურა დაიწყება. ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ მის გადაცემას არ აპირებენ, მაგრამ სტატუსზე უარის თქმის მოტივი, მიუთითებს — მის ექსტრადირებას აპირებენ. ეს კაცი ამ სტატუსს იმსახურებს. რეალურად, პოლიტიკურ-ჰუმანიტარული ნიშნით დევნილია, უფლებადამცველია. წარმოვადგინეთ მის მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, დაღესტნის არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მიმართვა საქართველოს ხელისუფლების მიმართ... შესაძლოა, კონტრტერორისტული ცენტრის, მისი შუა რგოლის ხელმძღვანელობაა დაინტერესებული კადიევის გადაცემით. ვერ გეტყვით, აქ პირადი კონტაქტებია რუსულ სპეცსამსახურებთან თუ რა ხდება, მაგრამ ჩემი წყაროდან ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრს მიანოდეს ინფორმაცია, თითქოს ეს ადამიანები რაღაც ტერაქტებს ამზადებდნენ. ქვეცნობიერად, ეტყობა, ისევ ამას ფიქრობენ, სხვა შემთხვევაში 2 წელს რატომ შეუფარდებდნენ? ამ ფონზე, თუ ლტოლვილის სტატუსს არ მიანიჭებენ, რუსეთისთვის გადაცემის რეალური საფრთხე არსებობს“.**

1. მცირე აკლდამა ძველ ეგვიპტეში
2. ბასკების ხალხური ბურთაობა-ყველაზე სწრაფი თამაში მსოფლიოში
3. სსრკ-ს უმძლავრესი ბირთვული პოლიგონი
4. საზეიმო წვეულება, დარბაზობა
5. ჟირაფების ოჯახის ცხოველი
6. ტუჩზე წასასმელი საცხი
7. პოეზიის ჟანრი
8. ვისიმე ბადალი, სწორი
9. წამლის ჰერმეტულად დახურული პატ. ჭურჭელი
10. გერმანული პიანინოების მარკა
11. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
12. დიდი ციმბირული ირემი
13. „შევროლეს" მოდელი
14. გარეული ცხვარი
15. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის
16. ცხენების ჯოგი
17. თაყვანსაცემი ცხოველი პრიმიტიულ ხალხებში
18. კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა
19. გემების სარემონტო ნაგებობა
20. წილი ბიზნესში
21. ...-კლარჯეთი
22. მიწის გადასახადი აღმოსავლეთის ქვეყნებში
23. ინდიელთა დასახლებული ადგილი აშშ-ში
24. ხვეწნა, მუდარა ძველ ქართულში
25. სწორად აზრდილი, უტოტებო ხე
26. თურქული მარგარინის მარკა
27. ცნობილი ქართველი მევიოლინე ქალი
28. საოჯახო ელექტროხელსაწყო
29. თარჯიმანი აღმოსავლეთის ქვეყნებში
30. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
31. კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი პოზა
32. ლეგენდარული ჩოგბურთელი არტურ ...
33. ძაღლის ჯიში
34. კამჩის ნაშიერი
35. აგენტი 007-ის როლის ერთ-ერთი შემსრულებელი
36. დაავადების განვითარების უმაღლესი მწვერვალი
37. „ზაგარი" - ქართულად
38. ნიკო ლომოურის მოთხრობა
39. იგივეა, რაც მულტიპლიკაცია
40. კეთილი სული ევროპულ მითოლოგიაში
41. ქართული ხალხური სიმებიან-ხემიანი საკრავი
42. „სამი მეგობრის" ერთ-ერთი მთ. პერსონაჟი
43. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
44. ვაკე ადგილი მდინარის პირას
45. ქართველი პოეტი სევერიან ...
46. სასულთნო აზიაში
47. სახელმწიფო მეთაურის „ტაბუ"
48. რაიმე თემატიკით შეგროვ. სურათების კოლექცია
49. ღვინის ობი
50. ჭაობის მცენარე
51. ქალიშვილის ან დის ქმარი
52. აბელის მკვლელი
53. მაროს ქმარი კახურ ანეკდოტებში
54. გელას ქალიშვილი „უძინართა მზეში"
55. (ძვ.) უმიწაწყლო, უსახლკარო
56. მონღოლი დიდებული
57. ფინელი არქიტექტორი, დიზაინის თანამედროვე სკოლის ფუძემდებელი
58. შოტლანდ. ურჩხული
59. ყინული-ინგლისურად
60. ლექსი რაინ. სიყვარულზე ტრუბადურთა პოეზიაში
61. ბენზინის ძრავიანი პირველი ავტომ. შემქმნელი
62. საჭმლის მომნელებელი ორგანო
63. მთები ევროპაში
64. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
65. სილვესტერ სტალონეს კინოროლი ბოევიკურ სერიალში
66. კოლუმბ. ტელესერიალი „მემკვიდრე ..."
67. სამოყვარულო სიმღერა ფონოგრამის ქვეშ
68. გიორგი დანელიას ფილმი „... იდარდო"
69. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
70. სომხური გვარების წინსართი
71. იტალიელი მწერალი უმბერტო ...
72. ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „დონ კიხოტი"
73. მდინარე ყაზახეთში
74. ძველებური სატყორცნი იარაღი
75. დიზაინერი ... სენლორანი
76. ვარსქენის თანამდებობა
77. „... ჩვენი არსობისა"
78. ჯავშნიანი რეპტილია
79. დაუქორწინებლობის აღთქმა კათოლიკე ბერებში
80. აზია-ევროპის გამყოფი ქედი
81. კატის ხმიანობა
82. უეცარი შიში
83. სოფელი ონის რაიონში
84. ახალი წარმონაქმნი ენაში
85. მუმლის „საყვარელი" ხე

ლუდი აჩლუნგებს

დღეს საკამათო მოსაზრებები არსებობს ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებების თაობაზე. ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულები მის დადებით მხარეებს აღნიშნავენ, მოწინააღმდეგეებმა კი იმის მტკიცებულება იპოვეს, რომ ლუდი საკმაოდ მავნე სასმელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით დაქვეითდეს. ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ ლუდის სწორედ ეს რაოდენობა აჩლუნგებს ტვინს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ლუდის რეგულარული მომხმარებლები იძულებულნი არიან, ტვინის ჩვეულებრივზე 20%-ით მეტი სიმძლავრე გამოიყენონ, მარტივი ამოცანები რომ ამოხსნან. ექსპერიმენტებში მონაწილეთა ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1,5 ლიტრ ამ გამაგრილებელ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ მიირთმევდა. მოგვიანებით, როცა მონაწილეები ფხიზლდებოდნენ, ტესტირებას უტარებდნენ სხვადასხვა ციმციმა სიმბოლოზე. აღმოჩნდა, რომ ლუდის მსმელთა ჯგუფი, შედეგების მისაღებად, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა, ვიდრე არამსმელები.

სუდოკუმანია

ადვილი

6	1		8				5	
5			6					
7	2	8		5				
				6				2
2	7			1			6	3
4				8				
				2		6	3	9
					1			8
	3				6		7	1

სტანდარტი

	1							5
3				1	7			9
		5		9			1	
							5	4
			9	4	2			
7	2							
	9			2		8		
5			1	3				6
4							3	

რთული

		2	8				4	
				9				
	5		2		1	8		6
						3	8	
6				5				9
	9	7						
8		6	1		5		2	
				6				
	1				2	4		

ექსპერტი

5		8	6					1
		7			9		4	
6							7	
3		1	8	4			9	
4								7
	6			9	2	8		4
	5							2
	7		9			1		
1					5	7		9

ლონდონი – ბინძური სასტუმროების ქალაქი

ექვსი მილიონი ტურისტის მასშტაბური გამოკითხვის შედეგად, მკვლევარებმა მსოფლიო სასტუმროების სისუფთავე შეამოწმეს და ყველაზე ჭუჭყიანი ოტელების რეიტინგში ნისლიანი ალბიონის დედაქალაქის დანესებულებები ლიდერობს — „ბებერ კონტინენტზე“ მათ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 10-დან 7,52 ქულამდე დაიმსახურეს. სისუფთავის ანტირეიტინგის ათეულში მხოლოდ ევროპული დედაქალაქების სასტუმროები მოხვდა. მეორე ადგილზეა ნორვეგიული ოსლოს სასტუმროები, ოდნავ მეტი მაჩვენებელი მიიღეს ამსტერდამის სტუმართა სახლებმა. ათეულში შევიდა ასევე კოპენჰაგენის, პარიზის, ათენისა და ბრიუსელის ოტელები, ყველაზე „სუფთა“ კი უკრაინის დედაქალაქის — კიევის სასტუმროები აღმოჩნდა.

საფენები მამაკაცებისთვის

ჩინელმა სტუდენტმა ლიიანჰაომ მამაკაცებისთვის განკუთვნილი საფენების გაყიდვა დაიწყო. ჰიგიენურ საშუალებებს ფეხსაცმელში აფენენ, უსიამოვნო სუნი რომ აიცილონ თავიდან. გამჭრიახი ახალგაზრდა საფენებს საკუთარ თანაკურსელებში ავრცელებს და ამ საქმიანობის პირველ ორ დღეში თითქმის 100 დოლარი იშოვა. საფენების ძირითადი მყიდველები უნივერსიტეტის პირველკურსელები არიან, რომლებიც ვალდებულნი არიან, დამქანცველი სამხედრო მომზადება გაიარონ. ფიზიკური ვარჯიშის დროს კი სტუდენტებს ფეხი უოფლიანდებათ. ფეხის სუნის აცილების მიზნით ქალის ჰიგიენური საფენების გამოყენება ჩინელ ახალგაზრდებში გავრცელებული პრაქტიკაა, თუმცა ბევრს ერიდება მათი სუპერმარკეტებში შეძენა. ლიმ ამ პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა. ჯერ კიდევ შარშან ქალის საფენების დიდი პარტია შეიძინა და მათთვის ახალი შეფუთვა მოიფიქრა. ახლა კი იმედოვნებს, რომ მისი „ბიზნესი“ სწრაფად განვითარდება.

თევზს სიმსივნე მოკვეთეს

ავსტრალიაში, ქალაქ მელბურნში მცხოვრებმა ვეტერინარმა უნიკალური ოპერაცია ჩაატარა — წყლის ოქროსფერ ბინადარს თავის ტვინიდან 80 გრამი სიმსივნე ამოკვეთა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. როგორც ოქროს თევზის პატრონი აცხადებს, ერთ დღეს შენიშნა, რომ აკვარიუმის საყვარელ ბინადარს თავზე პატარა კოპი გაუჩნდა. თევზმა ორიენტაციის უნარი დაკარგა, არც ჭამდა და აღარც ცურავდა. ქალმა მის ტანჯვას ვერ გაუძლო და დასახმარებლად ვეტერინარს მიმართა. ექიმმა პატრონს აუხსნა, რომ თევზს სასიკვდილო დაავადება ჰქონდა და ან უნდა მომკვდარიყო, ან ოპერაცია გაეკეთებინათ. ქალი 200 დოლარის გადახდასა და საყვარელი არსების ოპერაციას დათანხმდა. თევზს ნარკოზით 45-წუთიანი ქირურგიული ჩარევა ჩაუტარდა და თავიდან სიმსივნე ამოუღეს, ახლა მას კიდევ დიდხანს შეუძლია იცოცხლოს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	7	2	8	4	3	1	9
9	3	4	7	1	6	5	8	2
2	1	8	3	9	5	7	6	4
8	9	6	5	3	7	4	2	1
7	4	3	6	2	1	9	5	8
5	2	1	9	4	8	6	3	7
4	8	5	1	7	3	2	9	6
3	7	2	8	6	9	1	4	5
1	6	9	4	5	2	8	7	3

სტანდარტი

4	2	3	1	6	9	7	8	5
1	9	8	4	7	5	3	6	2
7	6	5	3	2	8	4	1	9
5	8	7	9	1	6	2	4	3
9	4	2	8	5	3	1	7	6
6	3	1	2	4	7	5	9	8
8	1	9	7	3	2	6	5	4
3	7	6	5	9	4	8	2	1
2	5	4	6	8	1	9	3	7

რთული

5	2	4	3	1	7	9	8	6
1	7	9	8	6	4	3	5	2
3	8	6	2	9	5	4	7	1
8	6	3	1	7	2	5	4	9
7	9	5	6	4	3	2	1	8
4	1	2	5	8	9	7	6	3
9	5	1	7	3	8	6	2	4
2	4	8	9	5	6	1	3	7
6	3	7	4	2	1	8	9	5

ექსპერტი

8	7	5	6	4	3	2	9	1
4	2	1	9	8	7	5	6	3
9	6	3	2	1	5	8	7	4
6	1	2	8	5	9	4	3	7
7	5	9	4	3	1	6	2	8
3	8	4	7	6	2	1	5	9
2	4	7	5	9	8	3	1	6
5	3	6	1	7	4	9	8	2
1	9	8	3	2	6	7	4	5

ადვილი

5	7	8	6	4	9	3	2	1
1	2	9	3	8	7	6	5	4
6	4	3	2	1	5	9	8	7
4	1	7	9	6	8	5	3	2
3	9	5	4	2	1	8	7	6
8	6	2	5	7	3	4	1	9
2	5	6	1	3	4	7	9	8
7	3	4	8	9	2	1	6	5
9	8	1	7	5	6	2	4	3

სტანდარტი

9	8	2	5	7	6	3	4	1
4	1	6	3	2	9	8	7	5
7	5	3	4	1	8	9	2	6
3	7	9	8	5	4	6	1	2
2	6	8	1	3	7	5	9	4
1	4	5	6	9	2	7	8	3
5	3	4	7	8	1	2	6	9
8	2	1	9	6	5	4	3	7
6	9	7	2	4	3	1	5	8

რთული

5	1	9	6	4	8	7	3	2
8	7	3	1	2	9	6	5	4
6	4	2	7	5	3	1	9	8
4	5	7	8	6	2	3	1	9
3	9	1	5	7	4	2	8	6
2	8	6	9	3	1	5	4	7
1	2	5	4	9	7	8	6	3
9	3	8	2	1	6	4	7	5
7	6	4	3	8	5	9	2	1

ექსპერტი

4	9	3	2	1	8	7	6	5
2	6	1	9	7	5	4	8	3
8	7	5	6	4	3	9	2	1
6	3	2	1	8	7	5	9	4
1	8	9	5	2	4	3	7	6
7	5	4	3	9	6	2	1	8
9	2	8	4	3	1	6	5	7
5	4	7	8	6	9	1	3	2
3	1	6	7	5	2	8	4	9

მე-10 გვერდი: 1. მორიარტი; 2. ბორფორტი; 3. მურადა; 4. რომულუსი; 5. არესი; 6. ტაიგა; 7. ტრიო; 8. ომსკი; 9. „ფაუსტი“; 10. როიალი; 11. ინია; 12. რასპუტინი; 13. კრომველი; 14. ენა; 15. აია; 16. ელი; 17. იდო; 18. ტალი; 19. აფალინა; 20. ირურეტა; 21. გუი; 22. გრიფი; 23. ადელაიდა; 24. ანუი; 25. ალური; 26. „უდინეზე“; 27. იაიკი; 28. იახსარი; 29. ასა; 30. აგუტი; 31. ზეგ; 32. იდეა; 33. ხბო; 34. ნიტი; 35. ათა; 36. ალაპი; 37. ამაო; 38. სია; 39. ალოპეცია; 40. კანა; 41. ბისკაი; 42. აღაზა; 43. ატრია; 44. მარაბდა; 45. კიაზო; 46. ბოდვა; 47. „აელიტა“; 48. „აველ“; 49. „ვალტერი“; 50. ბალეტი; 51. ლიმპოპო; 52. ეტი; 53. მიოპია; 54. აფსიდა; 55. ბიცეფსი; 56. იალაღი; 57. რომეო; 58. ფორტე; 59. ტრევი; 60. კურიე; 61. უნგა; 62. აბაზი; 63„ლაციო“; 64. იარა; 65. დიაცი; 66. ბოუი; 67. რო; 68. ტუფი; 69. რუბლი; 70. სტეკი; 71. ჯა; 72. ჯიღა; 73. ვერანდა; 74. არგო; 75. სიო; 76. ურანია; 77. ვუდუ; 78. რკო; 79. დო; 80. ოსტიტი; 81. ბერიკაობა; 82. ომანი.

მე-12 გვერდი: 1. ბერკუტი; 2. ვედრო; 3. შკივი; 4. სტატიკა; 5. ლამინარია; 6. აბრა; 7. ინანთი; 8. არიანე; 9. იდიოტიზმი; 10. კრევეტი; 11. ეფესო; 12. ესერი; 13. არმანიაკი; 14. სტავროპოლი; 15. არილი; 16. ენი; 17. აკრი; 18. ოფისი; 19. აფთი; 20. ათენა; 21. და; 22. სარაფანი; 23. ეკატერინე; 24. ტაო; 25. სკერცო; 26. ლირა; 27. ოდალისკი; 28. ავუარი; 29. კობი ბრაიანტი; 30. რამბულიე; 31. სნო; 32. ანურია; 33. თვალი; 34. ინა; 35. დუ 36. სოს; 37. ნაია; 38. ყირმიზი; 39. ანა; 40. მელანო; 41. ალბომი; 42. ყირიმი; 43. მანე; 44. დანი; 45. ერა; 46. ესე; 47. ურია; 48. რეპი; 49. ავა; 50. მუმია; 51. საია; 52. ალ; 53. როჭო; 54. „ასა“; 55. სტიქსი; 56. ორლი; 57. მალი; 58. კიჭი; 59. ლორდოზი; 60. კვა; 61. ემი; 62. „ქამრი“; 63. ესაია; 64. კილიტა; 65. აია.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.